საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 30 (2143) | სამშაბათი, 20 თებერვალი, 1996 წელი. | ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შერიგება, სამართლიანობის ზეიმი ჩვენს საერთო ინტერესებს შეესაბამება"



საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 19 თებერვლის რადიოინტერვიუ

— გასული ეკონომიკური კვირა მეტად საინტერესო იყო, იგი რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა. საქართველოში მიმდინარე გაბედული ეკონომიკური რეფორმები უყურადღებოდ არ რჩება. გასულ კვირას, თქვენ შეხვდით ფირმა „სიმენსის", უზბეკეთის ექსპერტთა დელეგაციებს, ქართულ-ინგლისური ნავთობკომპანიის ინგლისელ დამფუძნებლებს, მსოფლიოში ცნობილი სამშენებლო ფირმის „ბეხტერის" ვიცე-პრეზიდენტს ჩარლზ ჰარტეპს. გარდა ამისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელმა ჩვენი ბიუჯეტის თაობაზე განაცხადა, რომ ეს არის პოსტსაბჭოთა სივრცეში მიღებული ყველაზე კარგი ბიუჯეტი. თუმცა, საერთაშორისო ეკონომიკური სტრუქტურები კრედიტის მისაღებად კიდევ ორ ძირეულ პირობას გვიყენებენ: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ და კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონების მიღებას. ეს კანონპროექტები გასული კვირის მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც თქვენ ესწრებოდით, უკვე განიხილეს. საინტერესოა, ასევე, იანვრის თვის ბიუჯეტის შედეგები და პირველი მონაცემები.

ჟურნალისტ ნატო ონიანის ამ შეკითხვის პასუხად საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში განაცხადა:

— განვლილი კვირა აღინიშნა აღმასრულებელ ხელისუფლებაში საკანონმდებლო ინიციატივის ინტენსიური რეალიზაციით. მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტის ხელმძღვანელობით განვიხილეთ მთელი რიგი კანონპროექტები, რომლებსაც ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებზე დაყრდნობით, საზოგადოების ცხოვრების დემოკრატიზაციის, საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების და, საერთოდ, ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის ამოცანათა გადასაწყვეტად, კერძოდ, თანამედროვე ცივილიზაციის დონეზე საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობისათვის კონსტიტუციის შე- [illegible] (მე, ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობ) უმ- [illegible] რანგის სამართლებრივ აქტად და [illegible] ბად უნდა იქნეს მიჩნეული საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენს. კოდექსის პროექტი, რომელზეც ოთხი წლის განმავლობაში მუშაობდა [illegible] ლური კომისია, ცნობილი მეცნიერის, იურისტის, ბატონ სერგო ჯორბენაძის ხელმძღვანელობით, მოიცავს 1481 მუხლს. იგი შედგება [illegible] წიგნისაგან. ეს გახლავთ: პირველი — სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი; [illegible] — სანივთო ქონებრივი სამართალი; მესამე — ვალდებულებათა სამართალი; მეოთხე — ინტელექტუალური საკუთრების სამართალი; მეხუთე — საოჯახო სამართალი; მეექვსე — მემკვიდრეობის სამართალი. კოდექსის პროექტის თითქმის ყველა ნორმაში ისეთი სიახლეა განმტკიცებული, რომელიც იურიდიულ რეალობად აქცევს აქამდე პოლიტიკურ მიზანდასახულობათა ფორმით არსებულ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების საარსებოდ აუცილებელ პრინციპებს, ეხება ეს მეწარმეობის, საკუთრების უფლების, მათ შორის, ინტელექტუალური საკუთრების უფლების განხორციელების, სამოქალაქო ურთიერთობაში სახელმწიფოს მონაწილეობის, საბინაო, საოჯახო, თუ მემკვიდრეობითი სამართლის საკითხებს. პროექტში გათვალისწინებულია თანამედროვე სამოქალაქო სამართლის თითქმის ყველა მიღწევა, დასავლეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ამ სფეროში და ჩვენი ქვეყნის სინამდვილე, რაც განპირობებულია გარდამავალი ეპოქის თავისებურებებით.

ძალზე მნიშვნელოვანია კანონის პროექტი საქართველოში კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, რომელიც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება მეწარმეობისა და ეკონომიკური ლიბერალიზაციის გზაზე. იგი ხელს შეუწყობს საფინანსო-საკრედიტო რესურსების ბაზრის ჩამოყალიბებას, ბანკებისადმი მოსახლეობის ნდობის მოპოვებას. ამ კანონის მიღებით დამთავრდება საბანკო რეფორმების გარდამავალი ეტაპი და საქართველოს საბანკო სისტემა ორიარუსიანი სახით სამართლებრივ საფუძველზე დაიწყებს ფუნქციონირებას.

განსაკუთრებით დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი აქვს კანონპროექტს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ". ეს პროექტი, რომელიც წელიწადნახევარზე მეტია საპარლამენტო და სამთავრობო წრეებისა და სპეციალისტების მსჯელობის საგანია, ახლახან გამოქვეყნდა პრესაში. მიმდინარეობს პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა, იხილავენ მას ადგილებზეც. პროექტი ჯერჯერობით პრეზიდენტს არ წარუდგენია პარლამენტისათვის, რამდენადაც მიწის საკითხი ქვეყნისათვის, ქართველი ერისათვის ბედის განმსაზღვრელია, უდიდესია პასუხისმგებლობა არა მარტო დღევანდელი, არამედ მომავალი თაობების წინაშეც. ამ კანონის მიღებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში რეფორმების განხორციელებისათვის, მასზეა დამოკიდებული საბაზრო ეკონომიკის რეალური დამკვიდრება, უცხოური კაპიტალის მოდინება. ყოველივე ეს კი მიწის ლეგალური ბაზრის გარეშე ვერ ჩამოყალიბდება. ამასთან, მიწაზე კერძო საკუთრების დაკანონებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ მილიონზე მეტი ოჯახისათვის (მე ერთხელ ეს ციფრი დავასახელე — 950 ათასამდე ოჯახი ფლობს მიწას, უფრო სწორად, მიმაგრებული აქვს მიწის ნაკვეთები და 350 ათასამდე ოჯახი ქალაქში ასევე ფლობს საკარმიდამო, საბაღე, საბოსტნე, სააგარაკე ნაკვეთებს). ხალხი დარწმუნდება, რომ მიწის ნაკვეთებს უკან აღარავინ წაართმევს და მისი ეფექტიანი გამოყენებისათვის კაპიტალის დაბანდება გამართლებულია. გლეხი, მიწის მფლობელი, მიწას მოუვლის. ეს მიწა კი ამჟამად საშინელ მდგომარეობაშია.

ამავე დროს საქართველოს სინამდვილეში მიწის კანონის მიღება უაღრესად პოლიტიზირებულ პრობლემად იქცა. საზოგადოების ერთი ნაწილი, მათ შორის, შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლები შიშობენ, რომ მიწის საკუთრების შემოღება ეროვნულ ინტერესებს შელახავს. მათი სიფრთხილე ბუნებრივი და გასაგებია. მიწის საკითხი ქართველი კაცისათვის ყოფნა-არყოფნის დონეზე აღიქმება. ამის გადასაწყვეტად ყველა მოსაზრება უნდა განვიხილოთ და შევაჯეროთ, გავიაზროთ, არის თუ არა შეშფოთების საფუძველი.

კანონპროექტში მიწის გასხვისება შეზღუდვების მთელი სისტემითაა წარმოდგენილი: მემკვიდრეებისათვის შესყიდვის უპირატესი უფლება, ნაკვეთის დაქუცმაცების აღკვეთის წესები და ნაკვეთების გამსხვილების სტიმულირება, გასხვისებაზე სპეციალური ნებართვის საჭიროება და სხვა, რომლებმაც უნდა გამორიცხონ არასასურველი ტენდენციები. კანონის მიღების კატეგორიული ტონით უარყოფას, როგორც ამას ზოგიერთი მოღვაწე პრესაში აკეთებს, სჯობს შემოთავაზებული მექანიზმის სიღრმისეულად გააზრება. ამ მიზნით, პრეზიდენტის დავალებით იურისტთა, აგროსისტემის, სხვა სპეციალისტთა მონაწილეობით მუშაობს სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების წარმომადგენლებთან ერთად განაზოგადებს დადებით და უარყოფით არგუმენტებს და მოსაზრებებს, ვფიქრობთ, ამგვარი საყოველთაო-სახალხო და საჯარო მსჯელობის საფუძველზე, სოციოლოგიური გამოკითხვების გათვალისწინებით, შევთანხმდებით კანონის ძირითად პოსტულატებზე და მივიღებთ გადაწყვეტილებას პროექტის საბოლოო ვარიანტის პარლამენტში შეტანის თაობაზე. აქვე მინდა ვთქვა, რომ ამ ბოლო კვირეების განმავლობაში ძალიან საინტერესო პრაქტიკა ყალიბდება პარლამენტის კომიტეტებსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის თვალსაზრისით არა პარლამენტის ფარგლებში, არამედ, პარლამენტის ფარგლებს გარეთაც, ჯერ კიდევ მაშინ, როცა პროექტი, ასე ვთქვათ, სამზარეულოშია. მინდა დიდი კმაყოფილება გამოვთქვა ამის გამო. ვფიქრობ, ეს პრაქტიკა ყოველმხრივი მხარდაჭერის ღირსია. დროსაც გაცილებით ვამოკლებთ.

განვლილი კვირა გაჯერებული იყო მნიშვნელოვანი შეხვედრებით საერთაშორისო დონეზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტის შედეგები არის. პრეზიდენტთან შეხვედრისას მისიამ კმაყოფილება გამოთქვა ქვეყანაში რეფორმების გაღრმავების გამო. აღინიშნა, რომ მისთვის შეღავათიანი სესხის გამოსაყოფად კრედიტორებთან მოლაპარაკება შედეგიანად მიმდინარეობს, მისიამ მაღალ დონეზე შეაფასა პარლამენტის მიერ ბიუჯეტის დამტკიცება. მათი აზრით, ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო (ასე ითქვა) ბიუჯეტი, რომელიც პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა მიიღეს.

როგორ სტიმულს აძლევს ეს ბიუჯეტი ახალ რეფორმებს? ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით იყო დანახული ჩვენი ბიუჯეტი და მისი პროგრესულობა, სწორედ ამ კუთხით აღინიშნა.

თქვენ უკვე ჩამოთვალეთ მსოფლიოს უდიდესი კომპანიები, რომლებიც იყვნენ სტუმრად და ამ ურთიერთობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუკი ისევ რეფორმების გზით ვივლით. გამოვყოფდი უზბეკეთის რესპუბლიკის ექსპერტების სტუმრობას. ისინი აქ პრეზიდენტის დავალებით ჩამოვიდნენ. ტაშკენტში ვიზიტის დროს ბატონმა ქერიმოვმა და მე ძალიან დეტალურად განვიხილეთ ეგრეთ წოდებული დერეფნის პერსპექტივები. ექსპერტებმა დაათვალიერეს ჩვენი სატრანსპორტო

(დასასრული მე-2 გვ.).

მიღება

გთავაზობთ ფირმა „სიმენსი"

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა გერმანიის ფირმა „სიმენსის" დელეგაციას.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრომ და ფირმა „სიმენსმა" ექსპერტთა ჯგუფების ერთობლივი მუშაობის საფუძველზე დაათვალიერეს და შეისწავლეს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული 19 საავადმყოფო, მოაწყეს მათი სააქსპერტო შეფასება. ითქვა, რომ „სიმენსის" სტრატეგიული კვლევის ცენტრმა მოაწყო გამოკვლევა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ტექნიკური აღჭურვისა და სანაციის გრძელვადიანი პროგრამა. შემუშავებულია საქართველოს ჯანდაცვის უმნიშვნელოვანესი გეგმა, შეხვედრის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული პროექტის რეალიზაციისათვის საჭირო ინვესტიციის საერთო მოცულობა შეადგენს 51 100 000 ამერიკულ დოლარს. პროექტის დაფინანსება შესაძლებელია გერმანიის სახელმწიფოს დახმარების ხარჯზე „ფზ" პროგრამის მიხედვით, რაც ითვალისწინებს 40-წლიანი დაბალპროცენტიანი კრედიტის გამოყოფას, რომლის დაფარვაც 10 წლის შემდეგ დაიწყება.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ „ფზ" პროგრამის გარდა არსებობს ვარიანტი, რომელიც გულისხმობს „ჰერმესის" კრედიტით წარმოდგენილი 15 საავადმყოფოდან ერთ-ერთის, კერძოდ, სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის რეაბილიტაციას და აღჭურვას თანამედროვე აპარატურით. ამ პროექტის მიხედვით, მოსაზიდი ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 9 მილიონ ამერიკულ დოლარს.

შეხვედრის დასასრულს, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ საქართველოს მასშტაბებისათვის აღნიშნული პროგრამა გრანდიოზულია, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ქვეყნისათვის უმწვავეს — ჯანდაცვის პრობლემას.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

„საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კანონი „საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. დაევალოს ფინანსთა სამინისტროს:

1) 1996 წლის 20 მარტამდე შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს განსახილველად წარუდგინოს „საქართველოს საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი;

2) 1996 წლის განმავლობაში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ექსპერტების მონაწილეობით შეიმუშაოს და 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინოს სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლის ცენტრალურ და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს შორის განაწილების ახალი ნორმატივები. ეს ნორმატივები სრულად უნდა ითვალისწინებდეს მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისათვის გადაცემული ყველა უფლებისა და ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას;

3) საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების მონაწილეობით შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარუდგინოს

1996 წლის 1 ივლისამდე — კანონპროექტი „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ" და

1996 წლის 1 სექტემბრამდე — „საგადასახადო კოდექსის" პროექტი;

4) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლის მობილიზაციის გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყოს სახელმწიფოს დაწესებული ყველა გადასახადის ამოღების კოორდინაცია და ორგანიზაცია იმ გადასახადების ჩათვლით, რომლებიც ჩაირიცხება სახელმწიფო სპეციალური ფონდების შემოსავალში;

5) 1996 წლის 1 აპრილამდე შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარუდგინოს ოფიციალური გრანტების ხარჯზე დაფინანსებული ახალი შეღავათები იმპორტზე;

6) მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან ერთად მოამზადოს და 1996 წლის 1 აპრილამდე საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარუდგინოს კანონპროექტები „უცხოური ინვესტიციების შესახებ" და „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის შესახებ" მოქმედ კანონებში ცვლილებების შესატანად — ახლადშექმნილი საწარმოების მოგების გადასახადის შეღავათების მოწესრიგების შესახებ;

7) საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით ჩაუტაროს რეორგანიზაცია და გადაიყვანოს საქმიანობის ფუნქციონალურ პრინციპებზე

1996 წლის 1 მარტამდე — ქ. თბილისის გარეთ არსებული 25 საგადასახადო ინსპექცია,

1996 წლის 1 ივნისამდე — ყველა დანარჩენი ინსპექცია;

8) გადასინჯოს საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან ერთად და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების მონაწილეობით საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის დაწესებული ჯარიმების გაანგარიშების, ამოღებისა და აუდიტის სისტემა, აგრეთვე ამასთან დაკავშირებით მაკონტროლებელი ორგანოების სტიმულირების წესები და საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარუდგინოს წინადადებები 1996 წლის 1 აპრილამდე.

9) საბაჟო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) და მსოფლიო ბანკის ექსპერტების მონაწილეობით შეიმუშაოს საბაჟო დეპარტამენტის რეორგანიზაციის კომპლექსური პროგრამა და არა უგვიანეს 1996 წლის 1 ივნისისა დაამტკიცოს ამ პროგრამის განხორციელების გრაფიკი კონკრეტული ღონისძიებებისა და ვადების ჩვენებით;

10) 1996 წლის 1 აპრილამდე საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან და საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად ჩაატაროს 1996 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტში ვადაგადაცილებული დავალიანებების სრული ინვენტარიზაცია. შეისწავლოს მათი წარმოქმნის მიზეზები და საწარმოთა გადახდისუნარიანობის რეალური შესაძლებლობიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს უიმედო დავალიანებების ჩამოწერისა და დანარჩენი დავალიანებების რესტრუქტურიზაციის წინადადებები;

11) 1996 წლის 1 სექტემბრამდე დაამთავროს ყველა ტერიტორიული სახაზინო სამსახურის შექმნა. სახაზინო სამსახურის შემდგომი განვითარებისა და სახაზინო სისტემის სრული ამოქმედების მიზნით. ამისათვის წლის განმავლობაში ეტაპობრივად გაიზარდოს სახაზინო სამსახურის მუშაკთა ოდენობა შექმნის კვალობაზე 150 საშტატო ერთეულით.

პრეზიდენტის რწმუნებულებმა მხარეებში ხელი შეუწყონ რეგიონალური ხაზინების ჩამოყალიბებას.

12) სხვა სამინისტროებთან, უწყებებთან და მმართველობის ტერიტორიულ ორგანოებთან ერთად 1996 წლის 1 აპრილამდე შეიმუშაოს და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და ღონისძიებების საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალურ და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს შორის გადანაწილების და აგრეთვე რიგი საბიუჯეტო ორგანიზაციების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის წინადადებები.

3. დაევალოს საქართველოს განათლების სამინისტროს, დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად 1996 წლის 1 მარტამდე შეიმუშაოს და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს განათლების სისტემის რეორგანიზაციის პროგრამა 1996 წელს შესასრულებელი სამუშაოს გამოყოფით.

განათლების სახელმწიფო სისტემის რეორგანიზაციის კვალობაზე განათლების სფეროში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობა შემცირდეს 40.000 კაცით, აქედან არანაკლებ 10.000 კაცისა 1996 წელს.

საქართველოს განათლებისა და ფინანსთა სამინისტროებმა დაავალონ ამ ღონისძიებების დროულად და სრულად განხორციელების კონტროლი.

4. დაევალოს საქართველოს ეროვნულ ბანკს საქართველოს ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებთან ერთად 1996 წლის 15 მარტამდე შეიმუშაოს და დაამტკიცოს იურიდიულ პირებს შორის ანგარიშსწორების მოწესრიგების ღონისძიებები.

5. დაევალოს საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს ჩაატაროს საჯარო ვაჭრობა (ტენდერები) საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტით გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებების ასათვისებლად.

6. სახელმწიფო შემოსავლის სწორად და სრულად აღრიცხვის მიზნით დაევალოს ყველა სამინისტროს, უწყებას, ორგანიზაციასა და დაწესებულებას, რომლებიც (ან რომელთა დაქვემდებარებული ორგანიზაციები) იმყოფებიან საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე და რომელთაც გახსნილი აქვთ სპეციალური ბიუჯეტგარეშე ანგარიშები, 1996 წლის 1 აპრილამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ სპეციალური ბიუჯეტგარეშე სახსრების ხარჯზე არსებული სტრუქტურული დანაყოფების შემოსავალ-გასავლის ბალანსები (ფინანსური გეგმები). ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიუთითოს საბანკო დაწესებულებებს, რომ ამ ანგარიშებზე 1995 წლის 1 მაისისათვის არსებული ნაშთი გადარიცხონ საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავალში, ეს ანგარიშები კი დახურონ.

დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის მინისტრთა საბჭოებს და სხვა ტერიტორიული ერთეულების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს გაატარონ იგივე ღონისძიებები ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიმართ და არა უგვიანეს 1996 წლის 15 მაისისა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ ინფორმაცია შესრულებული სამუშაოს შესახებ დადგენილი ფორმით.

7. დაევალოთ აჭარის, აფხაზეთის და სხვა ტერიტორიული ერთეულების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულებს მხარეებში:

„საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე შეიმუშაონ, დაამტკიცონ და 1996 წლის 15 მარტამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ ბიუჯეტი შემოსავლის სახეებისა და ხარჯების ფუნქციონალური და ეკონომიკური შინაარსის მიხედვით;

დახურონ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან შემოსული სახსრების ანგარიშები და ეს სახსრები 1996 წლის 1 იანვრისათვის არსებული ნაშთის ჩათვლით ჩარიცხონ შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტში და გამოიყენონ მიზნობრივად;

გადაიტანონ მათთან არსებულ სავალუტო ანგარიშებზე რიცხული სახსრები ტერიტორიული ერთეულების ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე და ამის შემდეგ დახურონ ეს ანგარიშები.

დაევალოს საქართველოს ეროვნულ ბანკს დააწესოს ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელების კონტროლი და 1996 წლის 1 აპრილისათვის მმართველობის ტერიტორიულ ორგანოებთან არსებულ სავალუტო ანგარიშზე არსებული ნაშთი უდავო წესით ამოიღოს და ჩარიცხოს საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში.

8. დაევალოთ აფხაზეთის, აჭარისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტგარეშე ფონდების გამგეობებს ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისა და ბიუჯეტგარეშე სახელმწიფო ფონდების შესრულების მიმდინარეობის შესახებ სრული ინფორმაციის მიღების მიზნით უზრუნველყონ, რომ ყოველთვიურად, არა უგვიანეს 10 დღისა, საანგარიშო თვის გასვლიდან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისა და ფონდების შემოსავლისა და ხარჯების შესრულების მაჩვენებლები (წარდგენის ფორმას შეიმუშავებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო).

9. დაევალოს ქ. თბილისის მერიას კანონით მინიჭებული შეღავათებისა და 1995 წლის ბიუჯეტით გაწეულ ფაქტიურ ხარჯებთან შედარებით 1996 წლის ბიუჯეტის ხარჯების მოცულობის 53 პროცენტით გაზრდის გამო ქალაქის ბიუჯეტიდან დააფინანსოს თბილისის „დინამოს" სტადიონის ტრიბუნების რეკონსტრუქციის, თბილისის 1991-1992 წლების მოვლენათა შედეგად დანგრეული საცხოვრებელი სახლების აღდგენის, თბილისის მეტროპოლიტენისა და კომპლექს „საქართველოს მატიანეს" მშენებლობის სამუშაოები.

10. დაევალოთ აჭარის მინისტრთა საბჭოს, ქალაქების: თბილისის, ქუთაისის, რუსთავის მერიებს, ბოლნისის რაიონის გამგეობას და სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დახმარების ერთიან სახელმწიფო ფონდს უზრუნველყონ მოსახლეობის სოციალური დაცვის 1996 წლის 1 თებერვლიდან და 1 ივლისიდან გასატარებელ ღონისძიებათა დაფინანსება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1996 წლის 9 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

„საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს კანონი „საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" მიღებულ იქნეს გამარტივებული წესით, ერთი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1996 წლის 9 თებერვალი.

საქართველოს კანონი

საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

მუხლი 1. მიღებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც შედგება საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის, საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისა და საქართველოს სახელმწიფო სპეციალური ფონდებისაგან, 1996 წლისათვის შემოსავლის ნაწილში 555.089 ათასი ლარის და ხარჯების ნაწილში 784.617 ათასი ლარის ოდენობით, თანახმად № 1 და № 2 დანართებისა.

დადგინდეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალზე ხარჯების გადამეტების ანუ დეფიციტის ზღვრული ოდენობა 1996 წლისათვის 229.528 ათასი ლარის ანუ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯების მიმართ — 29,2 პროცენტის ოდენობით.

მიიმართოს საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული ოდენობის დასაფარად:

დაფინანსების შიდა წყაროებიდან — 110.921 ათასი ლარი,

დაფინანსების საგარეო წყაროებიდან — 118.607 ათასი ლარი.

მუხლი 2. მიღებულ იქნეს საქართველოს 1996 წლის ცენტრალური ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში მიღებული გრანტებისა და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებიდან გადმოსაცემი ტრანსფერტით 385.047 ათასი ლარის, ხოლო ხარჯების ნაწილში ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებზე გადასაცემი ტრანსფერტის ჩათვლით 564.575 ათასი ლარის ოდენობით თანახმად № 3 და № 4 დანართებისა.

დადგინდეს საქართველოს 1996 წლის ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავალზე ხარჯების მეტობის ანუ დეფიციტის ზღვრული ოდენობა 229.528 ათასი ლარის ანუ საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების მიმართ 40.7 პროცენტის ოდენობით.

მიიმართოს საქართველოს 1996 წლის ცენტრალური ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული ოდენობის დასაფარად

დაფინანსების შიდა წყაროებიდან — 110.94 ათასი ლარი,

დაფინანსების საგარეო წყაროებიდან — 118.607 ათასი ლარი.

მუხლი 3. განისაზღვროს საქართველოს ტერიტორიული ერთეულების 1996 წლის ბიუჯეტები საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში გადასაცემი და მისაღები ტრანსფერტის ჩათვლით, თანახმად № 5 დანართისა.

ამ კანონით დადგენილ საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტსა და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს შორის სახელმწიფო გადასახადებიდან ანარიცხების ნორმატივებით შემოსავლის ხარჯზე მეტობის ამოღებისა და ცალკეული დეფიციტური ბიუჯეტებისათვის ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით, განხორციელდეს ურთიერთანგარიშსწორების ღონისძიებები;

(დასასრული მე-3 გვ.)

„შერიგება, სამართლიანობის ზეიმი ჩვენს საერთო ინტერესებს შეესაბამება"

(დასასრული)

გზები, ფოთის ნავსადგური, დაინტერესდნენ ბათუმით, თუმცა, იქ ჩასვლა ვერ მოასწრეს, მაგრამ მიიღეს ყველა მონაცემი, მათი აზრით, ყველა პირობა არსებობს, რომ საქართველოს გავლით ევროპასა და ამერიკაში გაიტანონ უზბეკური ბამბა, სასუქი, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ხოლო უზბეკეთმა მიიღოს ხორბალი, ჩაი, შაქარი და სხვა პროდუქტები, რაც მას საერთოდ დასავლეთიდან მიაქვს. ასეთსავე ინტერესს იჩენენ ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნებიც.

საგადასახადო ინსპექციის მონაცემებით, წლის დამდეგიდან აკრეფილი საგადასახადო შემოსავლები, როგორც ცენტრალურ, ისე ტერიტორიულ ბიუჯეტებში 19 მილიონ ლარამდე აღწევს, რაც 200 ათასი ლარით, ანუ 1,1 პროცენტით აღემატება ბიუჯეტის განსაზღვრულ მაჩვენებელს და 5 მილიონ 700 ათასი ლარით, ანუ 43 პროცენტით — გასული წლის შესაბამისი პერიოდის დონეს. ამასთან, საგადასახადო ინსპექციის ინფორმაციით ამოღებული თანხები ცენტრალურ და კრედიტორულ ბიუჯეტებს შორის, 1996 წლის ბიუჯეტის კანონის ამოქმედებამდე, ჯერჯერობით, კვლავ ძველი ნორმატივებით ნაწილდება. ხდება აგრეთვე ბანკებს შორის თანხების გადარიცხვის შეფერხებები. ხვალ ან ზეგ სპეციალურად უნდა შევხვდე საბანკო დაწესებულებებს, შესაბამის მინისტრებს და ერთხელ და საბოლოოდ გადარიცხვების შეფერხებებს ბოლო უნდა მოეღოს, ეს პირდაპირ ახალ ჭირად იქცა ჩვენი ქვეყნისათვის. ამის გამო, ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ცენტრალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები, გრანტების გარეშე, შეადგენს 6 მილიონ 800 ათას ლარს (ხედავთ, როგორი განსხვავებაა — რამდენი იყო შემოსავალი, რამდენია პრაქტიკულად შემოტანილი), ცენტრალური ბიუჯეტის ანგარიშზე მისი ნახევარიც კი არ მოხვდა. ეს გახლავთ პროგნოზით გათვალისწინებული თანხის 51 პროცენტი მაშინ, როცა, ფაქტობრივად, პროგნოზით გათვალისწინებული შემოსავლები გადაჭარბებით შესრულდა.

რა თქმა უნდა, ბიუჯეტის შესახებ კანონის ამოქმედებასთან ერთად ეს საკითხიც მოწესრიგდება, მაგრამ ვითარების სიღრმისეული შესწავლის მიზნით საჭიროა ფინანსთა სამინისტრომ, საგადასახადო-სახაზინო სამსახურებმა, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა და ბანკებმა ერთად, ოპერატიულად გააანალიზონ არსებული ვითარება და სისტემატური კონტროლი დააწესონ ბანკებს შორის თანხების განაწილების სისწორისადმი და დააჩქარონ თანხების მოძრაობა.

კვლავ და კვლავ გასაძლიერებელია საბაჟო დეპარტამენტის საქმიანობა, რომელმაც გასული თვენახევრის მანძილზე ბიუჯეტში შეიტანა მილიონ 800 ათასი ლარი. მაგრამ, ფინანსთა სამინისტროს ცნობით, გეგმის შესრულებას 30 პროცენტი დააკლდა. მართალია, გადასახადებიდან განთავისუფლების გაუქმება ძალაში გეგმით გათვალისწინებულ ვადაზე მოგვიანებით — 1 მარტიდან შედის, მაგრამ რეზერვები ამ სფეროში სულაც არ არის ბოლომდე გამოყენებული.

საქენერგოსთან დაკავშირებით. საქენერგოს კრიზისული ფინანსური მდგომარეობის ნაწილობრივი დაძლევის მიზნით პრეზიდენტის ბრძანებულებით გათვალისწინებული პირველი ეტაპის ვადა ამოიწურა, სამწუხაროდ, 15 თებერვლის მდგომარეობით, დავალებით გათვალისწინებული 8 მილიონი ლარის ნაცვლად საქენერგოში გადაირიცხა 4,5 მილიონი ლარი ანუ 52 პროცენტი. 15 თებერვლისათვის დავალების უზრუნველყოფა ვერ შეძლეს (როგორი სამწუხაროც უნდა იყოს, უნდა დავასახელო ეს რეგიონები): აჭარა — შესრულებულია 11 პროცენტით, ქუთაისი — 14 პროცენტით, თბილისი — 45 პროცენტით, კასპი — 30 პროცენტით, ახალგორი — 35 პროცენტით და ასე შემდეგ: ნულოვან პოზიციაზე არიან თბილისის საავიაციო ქარხანა, კასპის ცემენტის ქარხანა, გორის გაერთიანება „ლაინი" (ამ გაერთიანებას ჩვენ სერიოზულად უნდა მივხედოთ, იქ ყველაფერი წესრიგში არ არის, ხელმძღვანელობის თვალსაზრისით. ამაზე უკვე მქონდა საუბარი ბატონ ბადრი ხატიძესთან). დასახელებულმა რეგიონებმა და საწარმოებმა უნდა უზრუნველყონ ჩამორჩენის დაძლევა უმოკლეს დროში, ხოლო შემდგომში უნდა დაიფაროს არა მარტო ძველი დავალიანება, არამედ დროულად და სრულად ანაზღაურდეს ენერგიის მოხმარება.

ასეთია ეკონომიკური მიმოხილვის ძირითადი მომენტები.

— გასულ კვირას კვლავ ყურადღების ცენტრში იყო აფხაზეთის თემა და ამასთან დაკავშირებით რამდენიმე საინტერესო მომენტი: საქართველოში ჩამოვიდა სასაზღვრო ჯარების სარდალი ნიკოლაევი; ხშირდება პრიმაკოვ-არძინბას შეხვედრები; თურქეთის პრეზიდენტი დემირელი თავის წერილში აფხაზეთის პრობლემის სამართლიან გადაწყვეტაზე საუბრობს და აცხადებს, რომ აფხაზეთის მომავალი ბედი ერთიანი საქართველოს ფარგლებში უნდა გადაწყდეს. არძინბა ფედერალურ კავშირზე საუბრობს და რუსეთის სამშვიდობო ძალების აფხაზეთის ტერიტორიიდან გაყვანის წინააღმდეგია. მინისტრი გრაჩოვი, რომელმაც გასულ კვირას ორი საინტერესო განცხადება გააკეთა, არძინბას ამ აზრს არ იზიარებს. და, პრინციპში, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ რვა თვის შესვენების შემდეგ ქართველები და აფხაზები კვლავ მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ. იყო ძალიან მნიშვნელოვანი მსჯელობა თანამეგობრობის ქვეყნების საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სხდომაზე, რომლებსაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეც ესწრებოდა...

— 19 იანვრის გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგ, განსაკუთრებით გააქტიურდა რუსეთის საშუამავლო მისია (მას მხოლოდ საშუამავლოსაც არ დავარქმევდი), იგრძნობა მეტი შეტევითობა და სურვილი იმისა, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. მოლაპარაკების ახალი ეტაპი პრეზიდენტ ელცინის პირად დავალებებთან, მის განკარგულებებთან არის დაკავშირებული.

კმაყოფილება უნდა გამოვთქვა ევგენი პრიმაკოვის სამშვიდობო პროცესში აქტიური ჩართვით. ახალ ვითარებაში ახლებურად მოქმედებს ამჟამად მისი პირველი მოადგილე ბორის პასტუხოვი. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ პაველ გრაჩოვის არაორაზროვან და პრინციპულ განცხადებებს. თავისი სიტყვა თქვა პეტერბურგის საპარლამენტთაშორისო ასამბლეამ. რუსეთის სათათბიროში ზოგიერთი გაუგებრობის შემდეგ სანქტ-პეტერბურგის განცხადებას სხვა მნიშვნელობა და სხვა წონა აქვს. გულწრფელი კმაყოფილებით აღვნიშნავ საპარლამენტთაშორისო ასამბლეაზე ჩვენი დელეგაციის, ბატონ ზურაბ ჟვანიას წარმატებულ საქმიანობას, პრინციპულობას და დასახული მიზნისათვის ბრძოლის კარგ უნარს.

ნაყოფიერი იყო გენერალ ნიკოლაევის ვიზიტი თბილისში, რომლის დროსაც, როგორც ცენტრალური საკითხი, განვიხილეთ 19 იანვრის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა.

ასევე დიდად ვაფასებ თურქეთის პრეზიდენტის სულეიმან დემირელის უკვე ტრადიციულ მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხში, რაც მან ჩემდამი გამოგზავნილ მორიგ წერილში გამოხატა.

რაც შეეხება ბატონ არძინბას ახალ წინადადებებს, რომლებიც მან ჩამოაყალიბა, უნდა გითხრათ, რომ მათში სიახლე ბევრი არაფერია. რა თქმა უნდა, თავისი არსით ეს წინადადებები მიუღებელია, მაგრამ უმნიშვნელო ძვრები (ძალიან გამოცდილი თვალი ამას შენიშნავს) მაინც არის. თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ გუდაუთელთა ლიდერის ნდობა ძალიან რთული საკითხია. დაწყებული 1992 წლის 3 სექტემბრიდან ჩვენ ამის მწარე გაკვეთილები გვაქვს. კიდევ ერთხელ მივაპყრობ რადიომსმენელების ყურადღებას, თუ რას ვთავაზობთ აფხაზეთს: აფხაზეთი მიიღებს სახელმწიფოებრიობის ისეთ უმნიშვნელოვანეს ატრიბუტებს, როგორიცაა კონსტიტუცია, პარლამენტი, ჰიმნი, გერბი, დროშა, უმაღლესი სასამართლო ორგანოები, უზარმაზარი უფლებები ეკონომიკის, კულტურის სფეროებში და სხვა. ცენტრს დარჩება მხოლოდ ის უფლებები, რაც აუცილებელია ერთიანი სახელმწიფოს არსებობისათვის. ვფიქრობ, რომ ამ ბაზაზე მოლაპარაკების ინტენსიურად გაგრძელება სავსებით შესაძლებელია. ახლა უმთავრესია დავიწყოთ მოსახლეობის უმტკივნეულოდ დაბრუნება, რასაც თავისთავად მოჰყვება გაუცხოების დაძლევა, ტკივილების გაყუჩება, კლიმატის გათბობა. არსებობს თუ არა სხვა გზა? არსებობს, მაგრამ იგი სისხლიანია, იგი მსხვერპლიანია. სანამ ამ გზას ავირჩევდეთ, მოვუწოდებ ქართველებსა და აფხაზებს, აფხაზებსა და ქართველებს: შერიგება, სამართლიანობის ზეიმი ჩვენს საერთო ინტერესებს შეესაბამება. გამოვიყენოთ წინაპართა ბრძნული გამოცდილება და აღვადგინოთ ძმობისა და ნათესაობის საუკუნეობრივი ტრადიციები.

რაც შეეხება ბატონ არძინბასთან ნეიტრალურ ტერიტორიაზე შეხვედრის იდეას (ეს იდეა მან მოსკოვში პრესკონფერენციაზე წამოაყენა). მოგეხსენებათ, მე უკვე ვიყავი ნეიტრალურ, თუ არანეიტრალურ ტერიტორიაზე — გახლდით გუდაუთაშიც, ახლა აფხაზთა ლიდერს ვიწვევ თბილისში, გნებავთ ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისში, საქართველოს რომელ კუთხეშიც გნებავთ.

ახლა სამშვიდობო ჯარების გაყვანის თაობაზე, რის შესახებაც ბატონმა გრაჩოვმა ბრძანა: ვფიქრობ, გრაჩოვი მართალია—რატომ უნდა დახარჯოს რუსეთმა მილიარდები და რისკის ქვეშ დააყენოს ათასობით ჭაბუკის სიცოცხლე, თუკი რეალური შედეგი არ არის? თუ მოლაპარაკებათა დროს რეალური პროგრესი არ იქნება მიღწეული და ხალხის დაბრუნებაში გარდატეხა არ მოხდება, ჯარის გაყვანა მწარე სინამდვილე გახდება. სხვათა შორის, ეს ეხება (როგორც ჩემთან შეხვედრისას ბატონმა ელცინმა განაცხადა) იმ სამშვიდობო ძალებსაც, რომლებიც ცხინვალში დგანან. ამიტომ უნდა იჩქარონ ჩვენმა მეგობრებმა, სადაც უნდა იყვნენ ისინი, სოხუმში, ცხინვალსა თუ სხვაგან — ჩვენ არა გვაქვს არავითარი სხვა გზა, დროულად უნდა დავამთავროთ მოლაპარაკების სამშვიდობო პროცესი.

— საუბარი აფხაზეთზე იქნება თუ ცხინვალზე, ყველა ეს პრობლემა დამოკიდებულია საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე. ბოლო კვირის განმავლობაში ელცინმა თანხმობა განაცხადა კენჭი იყაროს პრეზიდენტის პოსტზე. რუსეთში კი საკმაოდ რთული პოლიტიკური ვითარებაა, ელცინის ყველაზე რეალურ ოპონენტად ექსპერტები ზიუგანოვის კანდიდატურას ასახელებენ. საქართველოში კომუნისტური თუ პროკომუნისტური შეფერილობის ძალები ამასთან დაკავშირებით უკვე ამოძრავდნენ — ვთქვათ, იგივე პანტელეიმონ გიორგაძის კომპარტია. როგორ მიგაჩნიათ, შეიცვლება თუ არა მნიშვნელოვანწილად საქართველო-რუსეთის ურთიერთობა, თუ ხელისუფლების სათავეში, ვთქვათ, მოვა ზიუგანოვი და იგი გახდება რუსეთის პრეზიდენტი?

— ამ თემაზე მსჯელობა ცოტა დელიკატურია; მაგრამ მაინც რამდენიმე სიტყვით შევეცდები პოზიცია ჩამოვაყალიბო. მოხდება თუ არა ხელისუფლების შეცვლა, ამას მოახლოებული პრეზიდენტის არჩევნები გვიჩვენებს. ელცინს გამარჯვების ძალიან დიდი შანსი აქვს. მისი გამარჯვება რეფორმების გაგრძელების, საგარეო პოლიტიკური კურსის სტაბილურობის უკვე ჩამოყალიბებულ პრიორიტეტთა საკითხში მემკვიდრეობითობის შენარჩუნებას მოასწავებს. პრიორიტეტებს რომ ვამბობ, მხედველობაში მაქვს რუსეთის საგარეო პოლიტიკა, რომელიც ამ ბოლო დროს საკმაოდ კარგად გამოიკვეთა.

ამ 15 დღის წინათ რუსეთის ტელევიზიის ერთ-ერთი პროგრამის კითხვა ასეთი იყო: წამოაყენებს თუ არა ელცინი თავის კანდიდატურას პრეზიდენტის არჩევნებში და რას ფიქრობს შევარდნაძე ამ საკითხზე? მე ასე ვუპასუხე: მე რომ მის მდგომარეობაში ვიყო რუსეთის დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, აუცილებლად ვიყრიდი-მეთქი კენჭს.

გახდება თუ არა მეორედ ელცინი პრეზიდენტი, ყველაზე მეტად ეს თვით ბატონ ელცინზეა დამოკიდებული. მხედველობაში მაქვს, როგორ წარმართავს იგი წინასაარჩევნო კამპანიას. ყველა წინაპირობა არსებობს, რომ მან გაიმარჯვოს. თუმცა არც სხვა ვარიანტების გამორიცხვა შეიძლება.

რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ სხვა ძალებს, რომლებიც სათათბიროში ან ფედერაციის საბჭოში მოვიდნენ, სანქტ-პეტერბურგის შეხვედრებმა დაადასტურა, რომ თანამშრომლობა შესაძლებელია. იმ კანონზომიერების უკუშექცევა გლობალური მასშტაბით, რაც ცივი ომის დამთავრებას მოჰყვა, არავის ძალუძს.

ბატონ პანტელეიმონის მრავალგზის განცხადებებთან დაკავშირებით — საერთოდ ვცდილობ რეაგირება არ მოვახდინო მათზე. როგორი შეფერილობისაც უნდა იყოს პანტელეიმონი, კომუნისტური თუ სხვა, იგი არ წარმოადგენს ძალას. ილაპარაკოს იმ კაცმა — უხარია, რომ ლაპარაკობს და ილაპარაკოს, რამდენიც უნდა.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

ობიექტური რეაქცია

აფხაზთა ლიდერის ახალი წინადადებები საქართველოსთან ფედერაციული კავშირის შესახებ ახალს არაფერს შეიცავს, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტის პრესმდივანმა ვახტანგ აბაშიძემ.

„ამ წინადადებათა არსი არის ძველი — სახელმწიფოს კონფედერაციული მოწყობა, რაც მიუღებელია საქართველოსათვის", — თქვა მან პარასკევს „ინტერფაქსისათვის" მიცემულ ინტერვიუში.

ვახტანგ აბაშიძემ გაიხსენა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მოსაზრება, რომლის თანახმადაც აფხაზეთი უნდა შედიოდეს ერთიანი ფედერაციული სახელმწიფოს შემადგენლობაში. ამასთან, სოხუმს მიეცემა ძალზე ფართო უფლებები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ვახტანგ აბაშიძემ განაცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა „ობიექტურ რეაქციად" შეაფასა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის პაველ გრაჩოვის განცხადება იმის თაობაზე, რომ თუ უახლოეს დღეებში კონფლიქტის მონაწილე მხარეები ვერ მიაღწევენ მორიგებას, მაშინ შესაძლოა აფხაზეთიდან გამოიყვანონ რუსეთის სამშვიდობო ჯარები. „თავდაცვის მინისტრის ასეთ პოზიციას, რომელსაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინიც იზიარებს, — აღნიშნა პრესმდივანმა, — ექნება გადამწყვეტი ზემოქმედება აფხაზეთის პრობლემის საბოლოო მოწესრიგებაზე".

ყინული დაიძრა

პროექტი, რომელიც აფხაზურმა მხარემ წარმოადგინა, პრაქტიკულად მათ მიერ ადრე დაყენებული თეზისების გაგრძელებაა. ამ თეზისის არსს შეადგენს კონფედერაციული კავშირი ორ დამოუკიდებელ სუბიექტს შორის, განსხვავება მხოლოდ ზოგიერთ ნიუანსშია, — განაცხადა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა ამ დღეებში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკებებს.

სამწუხაროდ, მოლაპარაკებებზე ვერავითარი დოკუმენტი ვერ იქნა მიღებული, — თქვა ირაკლი მენაღარიშვილმა, მაგრამ მას მთლად უშედეგო მაინც არ ეთქმის, [illegible] მხრიდან შეინიშნებოდა დიალოგის გაგრძელების სურვილი, რასაც ვერ ვიტყოდით ადრინდელ შეხვედრებზე.

ამ შეხვედრებს საბოლოო ჯამში ასე შევაფასებდი, — აღნიშნა ირაკლი მენაღარიშვილმა, — გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, მაგრამ ყინული დაიძრა.

მზია გელენავა.

რეფორმა

კონსტიტუციიდან — სახელმწიფოს ამ უზენაესი კანონიდან დაწყებული, დღეს, კონკრეტულად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონით (ჯერ პროექტია!) დამთავრებული, ფარატინა ქაღალდია, სანამ ერის დიდი ნაწილი თავის ისტორიულ შეცდომებს ძირითადად სხვას აბრალებს და ზოგჯერ უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაჭრელად კანონმდებელთან საერთო ენას ვერ გამონახავს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბლომად გვყავან იაფფასიან პოპულარობას გადაყოლილი პატრიოტები, მარტო ლაპარაკი რომ ეხერხებათ და ცარიელი შეგონებების იქით ნაბიჯსაც ვერ დგამენ. ხშირად ისინი ზუსტად ერთსა და იმავეს (ოღონდ სხვადასხვა სიტყვებით) ამტკიცებენ და ძალიან გვიან „აღმოაჩენენ", რომ ღია კარს ამტვრევენ.

სწორედ ასე მოუვიდა ახლახან პარლამენტში განსახილველად წარდგენილ და პრესაში გამოქვეყნებულ პროექტს „მიწის საკუთრების შესახებ", რომელიც საზოგადოებრიობის ფართო სამსჯავროზე იუსტიციის და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროების სპეციალისტთა ჯგუფმა, რა თქმა უნდა, პარლამენტის შესაბამის კომისიასთან შეთანხმებით გამოიტანა.

საქართველოს ტელევიზიამ უკვე რამდენიმე საგანგებო გადაცემა მიუძღვნა ამ პრობლემას. ჩვენს გაზეთშიც დაიბეჭდა გამოხმაურებანი. ეჭვგარეშეა, მიმდინარე კვირა ამ პროექტის დამკვიდრებისზე უთუოდ გადამწყვეტი იქნება.

დღეს კი შემოგთავაზებთ იმ მოსაზრებებს, რომლებიც გასულ შაბათს, 17 თებერვალს, პრეზიდენტის პრესსამსახურის მიერ ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე გამოიკვეთა.

პრესკონფერენციას უძღვებოდა საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელი ვახტანგ აბაშიძე. ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხებდნენ საქართველოს იუსტიციის მინისტრი თედო ნინიძე და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი ბაკურ გულუა.

ნებისმიერი კანონი ფარატინა ქაღალდია, თუ მისი შემსრულებელი ბედოვლათია და სახელმწიფოებრივად ვერ აზროვნებს...

თედო ნინიძე: ყოველგვარ კანონზე მსჯელობა გაადვილდება, თუ, ელემენტარულად, ვიზიარებთ იმ გადაწყვეტილებას, იმ დებულებას, რომელსაც პრეზიდენტი და მთავრობა გვთავაზობს. თუ ასეთ პოლიტიკურ მიდგომას არ ვიზიარებთ, მაშინ სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ და... მაშასადამე, წყალს ვნაყავთ. თუ საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებაზე, ქვეყანაში სერიოზულ ქონებრივ ბრუნვაზე, პიროვნების თავისუფლებაზე ვმსჯელობთ, საკუთრების უფლების გარეშე, სახელდობრ — მიწის საკუთრების უფლების გარეშე ხომ, ფაქტობრივად, არაფერი გამოგვივა. დღეს ჩვენ უნდა დავაკანონოთ ე. წ. სტატუს-კვო, ანუ **საქართველოში მიწის რაციონალური გამოყენების საფუძველზე ორგანიზებული მეურნეობის სამართლებრივი უზრუნველყოფა; აგრარული სტრუქტურის გაუმჯობესება; მიწის ნაკვეთების დაქუცმაცების, არარაციონალური გამოყენების თავიდან აცილება; სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული ურთიერთობების კერძო-სამართლებრივი და სამოქალაქო სამართლებრივი შეზღუდვები, აგრეთვე, ამ ურთიერთობების საჯარო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პრობლემები; საადგილმამულო მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გამოყენება კრედიტების უზრუნველყოფის საშუალებად და სხვ.**

ბაკურ გულუა: მარტო 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები ისე დანაწევრდა, რომ ნაკვეთების რიცხვმა 2 მილიონ 600.000-ს მიაღწია. ეს წარმოუდგენელი შეცდომაა, უფრო მეტიც — ეს მიუტევებელი უგუნურებაა. მიწების განაწილებისას დაშვებულია უაღრესად სერიოზული დარღვევები. მათ შორის — **არსებული წესის გადახვევით რეფორმის ფონდში მიწების გამოყოფა და განაწილება, მსხვილი სამექანიზაციო მასივების წვრილკონტურიან ნაკვეთებად დანაწევრება, მიწების მიტაცება, დადგენილი ნორმების დარღვევით ინდივიდუალურ სარგებლობაში მათი გაცემა, კომლთა კატეგორიების არასწორად განსაზღვრა და სხვ.**

თედო ნინიძე: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების კანონპროექტი მოწოდებულია სწორედ **მიწის გასხვისებასთან დაკავშირებული რეჟიმის, წესის დასადგენად,** აგრეთვე იმ შეზღუდვების პრაქტიკაში დასამკვიდრებლად, რომელსაც სახელმწიფო ოფიციალურად უწესებს მიწის გამსხვისებელს თავის თანამესაკუთრეებთან და თვით სახელმწიფოსთან მიმართებაში.

ბაკურ გულუა: ეს არ არის მიწის გაყიდვის კანონი. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგული 7 მილიონამდე ჰექტარია. აქედან, დღეს, 650.000 ჰექტარზე (აფხაზეთისა და ოსეთის გამოკლებით) კერძო საკუთრების ფორმები გამოიყენება. აფხაზეთსა და ოსეთში ჩვენი იურისდიქციის აღდგენის შემდეგ ეს ფართობი 800.000 ჰექტარზე ცოტა მეტი იქნება. ეს მთლიანად ჩვენი სახნავ-სათესის მხოლოდ 12 პროცენტს შეადგენს. **აი, სწორედ მიწის ამ 12 პროცენტზე ცივილიზებული, აპრობირებული რეჟიმის დამკვიდრებას მოემსახურება ახალი კანონი. დანარჩენი მიწები ცხადდება სახელმწიფო საკუთრებაში;** განა შეიძლება იმაზე კამათი, რომ მიწასთან სამართლებრივი, კანონიერი ურთიერთობის დამყარება საქართველოსთვის დღეს ასე აუცილებელია?

თედო ნინიძე: მიწა ყოველთვის და განსაკუთრებით დღეს არ განიხილება, არ მოიაზრება როგორც ჩვეულებრივი მოძრავი ქონება. მისი გასხვისება, ვიმეორებ, ექვემდებარება განსაკუთრებულ სახელმწიფო კონტროლს და სრულიად განსხვავებულ რეჟიმს.

მიწის მესაკუთრეობა გავალდებულებს პრაქტიკულად იზრუნოს მასზე. სახელმწიფომ, საზოგადოებამ კერძო მფლობელს პრინციპულად უნდა დაუნიშნოს დრო... **თუ კანონით განსაზღვრული დროის მანძილზე ვერ დაამუშავებ მიწას, მერე სახელმწიფო და საზოგადოება, მიწების მართვის ერთიანი სახელმწიფო სამსახური, იფიქრებენ იმაზე, თუ ვის დაამუშავებინონ და ვისზე გაასხვისონ ეს ნაკვეთი.** არ შეიძლება მიწა გასხვისდეს სახელმწიფოს ნებართვის გარეშე. ეს არ ეხება გამსხვისებლის უშუალო მემკვიდრეებს. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ამ მემკვიდრეების რეალურობასაც სახელმწიფო პრინციპულად გააკონტროლებს.

ბაკურ გულუა: გულწრფელად უნდა გითხრათ, ის, რასაც ჩვენ დღემდე მიწების პრივატიზაციას ვეძახდით, არასწორი იყო. ეს არავითარი პრივატიზაცია არ გახლდათ. უბრალოდ, ხრუშჩოვის დროს ჩამორთმეული, უფრო სწორად, ჩამოჭრილი მიწები დავუბრუნეთ ხალხს და ამით შევავსეთ ის სამოსახლო მინიმუმი, რომელიც კანონით თითოეულ ოჯახს ეკუთვნოდა. ამიტომ ვამბობთ, **ეს დაბრუნებული და სხვა დანიშნულების (საბაღე-საბოსტნე, საავარაკო, სამოსახლო, საკარმიდამო) ნაკვეთები, რომლებიც 1992 წლამდე ხალხს კანონიერ სარგებლობაში ჰქონდა,** (პრეზიდენტის ახალი საგანგებო ბრძანებულების მიხედვით, რომელიც მიწის საკუთრების კანონპროექტთან ერთად გამოქვეყნდა), **მიჩნეულია მათ კერძო საკუთრებად.**

თედო ნინიძე: ყველა დაინტერესებულ პირს ვთხოვ კიდევ ერთხელ განსაკუთრებული ყურადღებით გაეცნოს პრეზიდენტის ამ ახალ, 11 თებერვლის № 166

ბრძანებულებას **„მიწის რეფორმის ეგიდით განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად არსებული ხარვეზებისა და დარღვევების გამოსწორების, მიწის რეფორმის დაჩქარებისა და მიწათსარგებლობაში სათანადო წესრიგის დამყარების შესახებ"...** მივაქციოთ ყურადღება — სახელმწიფო ცდილობს სერიოზული დარღვევების გამოსწორებას და სათანადო წესრიგის დამყარებას. განა შეიძლება ამის საწინააღმდეგო აზრი ვინმეს ჰქონდეს? აქვე, ამ ბრძანებულებაში ხაზგასმით არის მითითებული, რომ **„უცხო ქვეყნის მოქალაქეთა, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირთა კომლებს და ოჯახებს, რომლებიც ამ ბრძანებულების მიღების მომენტში მუდმივად ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე და კანონიერად ფლობენ საკარმიდამო, სამოსახლო, საბაღე, საავარაკო, საბოსტნე ნაკვეთებს, დასახელებული ნაკვეთები გადაეცემათ სასოფლო სამეურნეო იჯარის წესით".** ვგონებ, ყველაფერი ნათელია. ახლა მთავარია მმართველობის სამხარეო, საქალაქო და რაიონულმა ორგანოებმა, საქართველოს მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის სამსახურებთან ერთად, გადაუდებელი ღონისძიებანი განახორციელონ მიწის რეფორმის მიმდინარეობისას დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად, პრეზიდენტის ამ საპროგრამო ბრძანებულების თითოეული პუნქტის შესასრულებლად.

ბაკურ გულუა: პარლამენტში ამ საეტაპო კანონის მიღებას უნდა მოჰყვეს გადაწყვეტილებათა მთელი პაკეტი, რომელთა მიხედვითაც უნდა შევასრულოთ უზარმაზარი სამუშაოები. **ამიტომ ვამბობთ, ამ კანონით ეს დიდი საქმე მხოლოდ იწყება.** ჩვენი სამინისტრო, სპეციალისტების მთელი ჯგუფი კარგა ხანია ვმუშაობთ ამ მართლაცდა უდიდეს, საშვილიშვილო პრობლემაზე. ძალიან ზოგადად რომ გითხრათ, ყველაფერი ადგილებზე ჩასვლით, მოსახლეობასთან მოთათბირებით, თვით სოფელთან, მიწასთან დაკავშირებული ხალხის წინადადებების შეჯერებით დავიწყეთ. არასწორია ბრალდება, თითქოს ჩვენ ნაუცბათევად, უცხოელების მითითებით გავამზადეთ ეს კანონპროექტი. 50-ჯერ მაინც შევხვდით სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დონის სპეციალისტებს. **კარგა ხანია ვმუშაობთ და გარწმუნებთ, რომ ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ.**

თედო ნინიძე: განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აგრეთვე კანონპროექტის მეოთხე თავი — **„საადგილმამულო მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გამოყენება კრედიტების უზრუნველყოფის საშუალებად".** ვიცით, რომ საკრედიტო საშუალებად მიწა ჯერ არ გამოყენებულა, არადა, ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს. **ყველა ნიუანსის გათვალისწინების შემდეგ, თუნდაც საადგილმამულო წიგნების (ადრე, ჩვენი მამა-პაპანი ზონარგაყრილ წიგნებს რომ ეძახდნენ) შემოღების შემდეგ, ისე როგორც ყველგან, საქართველოშიც დაიწყება კერძო მიწების გაყიდვა, რა თქმა უნდა, კანონის სრული დაცვით და სახელმწიფოს პრინციპული კონტროლით.** აქ საშიში არაფერია. თვალებში შევხედოთ სიმართლეს — დღევანდლამდე, საქართველოში, ყოველგვარი სახელმწიფოებრივი წესების დარღვევით, მიწა ხშირად იყიდებოდა. აი, ამ კანონის ამოქმედების შემდეგ კერძო (მხოლოდ კერძო მიწების) გაყიდვა მოხდება წესების სრული დაცვით. ამისათვის, ჩვენთან ერთად ადგილობრივი მმართველობის ორგანოები მართლაც სერიოზულად უნდა მოეკიდონ. სწორედ მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა კანონიერების ყოველმხრივ დაცვაზე.

ბაკურ გულუა: 995 წელს საქართველოს სოფლის მშრომელებმა, მიუხედავად ყოველმხრივი შეჭირვებისა, მაინც უხვი მოსავალი მოიყვანეს. ეს, პირველ რიგში, მოხერხდა იმით, რომ ქვეყანაში ძირითადად აღკვეთა მძარცველთა და სხვისი ნამაგარის უსინდისოდ მიმთვისებელთა ბანდები. სახელმწიფო ერთხელ და სამუდამოდ დაადგა თვითგანწმენდის გზას. ეს რომ დაინახეს მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდის მესვეურებმა და ჩვენი პრეზიდენტის საზღვარგარეთელმა მეგობრებმა, **უყოყმანოდ გადაწყვიტეს კრედიტების უშუალოდ საქართველოს სოფლის მეურნეობაში დაბანდება. მათ დაიჯერეს, რომ საქართველოს სოფელს, ქართველ გუთნისდედას თავისუფლად შეუძლია საკუთარი ქვეყნის გამოკვება. ამიტომ შეიცვალა დახმარების მიმართულება, ამიტომ არ უნდა დავკარგოთ შანსი — სხვა ქვეყნებიდან შემოსული პროდუქტის მომხმარებლის ნაცვლად ვიქცეთ მაღალხარისხოვანი მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის, ღვინის და ა. შ. მწარმოებლად...** ისე, მართლაც რა სამარცხვინოა, ლამის წაგვლეკოს სხვისმა პროდუქტმა, საუკეთესო საკუთარი ჭირნახული კი ბაზრამდეც ვერ მიგვიტანია!.. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების კანონი სწორედ ქართველი ფერმერის აღორძინების საფუძველი გახდება. ეს, მერწმუნეთ, მართლაც, ბევრს ნიშნავს...

• • •

კიდევ ბევრ რამეზე ვისაუბრეთ პრესკონფერენციაზე. ბატონმა თედო ნინიძემ გულისტკივილით ისიც აღნიშნა, რომ არც ერთ გაზეთში (ხელისუფლების მხარდამჭერი იქნება ის თუ აბსოლუტურად ოპოზიციური) მე ჯერ არ წამიკითხავს დადებითი, წამახალისებელი წერილები ჩვენი სპეციალისტების დიდი რუდუნებით შექმნილი კანონპროექტების შესახებ. არადა, ასეთები ნამდვილად არის. აი, თუნდაც, ბოლო ხანს მოკლე დროში, ბატონ სერგო ჯორბენაძის ხელმძღვანელობით შექმნილი უნიკალური, უზარმაზარი (თავისი მნიშვნელობითაც და მოცულობითაც) სამოქალაქო სამართლის კოდექსი... ჩვენ ადრე მივიღეთ კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ. ყველა უცხოელი აღიარებს, რომ ეს არის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე შექმნილი კანონი. ჩვენთან ის რიგით მოვლენადაც არ მიუჩნევიათ... დაახლოებით იგივე ითქმის მიწის საკუთრების შესახებ კანონპროექტზეც.

ჟურნალისტის კომენტარი: შეუძლებელია ბატონ თედო ნინიძეს არ დაეთანხმო. დღეს კრიტიკა და ოპოზიციაში დგომა თვითმიზნად იქცა. თუმცა, კრიტიკაში დგომა ქართველისათვის არასოდეს ყოფილა უცხო ხილი. მთავარია, კრიტიკით „გული მოიფხანონ", ხალხში გაბედული, ერისთვის ჯვარცმული კაცის სახელი დაიგდონ, საქმე კი, საქმე ჯანდაბას, გადამთიელი მოვა და გააკეთებს...

მიწის საკუთრების შესახებ კანონს, ჩემი აზრით, უაღრესად განსწავლული, ცინცხალი აზროვნების მქონე სპეციალისტები და ჭეშმარიტი პატრიოტები ადგენდნენ. მათ ნაშრომში, ზოგიერთი ნიუანსების გარდა, ყველაფერი გასაგები და მისაღებია. ახლა მთავარია, ეს წვრილმანებიც დროზე გავარკვიოთ, კანონი მივიღოთ და პრაქტიკულ საქმეს შევუდგეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც წერილის დასაწყისში ვთქვით, კონსტიტუციაც კი, ზოგიერთი ბედოვლათის ხელში მხოლოდ ფარატინა ქაღალდია...

სპარტაკ ქოზულია.

P. S. ჩვენი თხოვნით მინისტრები — თედო ნინიძე და ბაკურ გულუა მზად არიან მიწის საკუთრების კანონპროექტის ყველა გაურკვეველ საკითხზე „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებიდან ესაუბრონ დაინტერესებულ პირთ.

ველოდებით თქვენს წერილებს, ტელეფონის ზარს. მოგვმართეთ — კოსტავას 14, IV სართული, ტელ. 93-18-70; 93-08-09.

საქართველოს კანონი

საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

(დასასრული)

მოღებულ იქნეს ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტე- საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავალში 9.841 ლარი, მათ შორის:

თის ბიუჯეტიდან	2190	ათასი ლარი
უსთავის ბიუჯეტიდან	1874	ათასი ლარი
აფონის რაიონის ბიუჯეტიდან	1567	ათასი ლარი
ნების რაიონის ბიუჯეტიდან	1082	ათასი ლარი
რედის რაიონის ბიუჯეტიდან	730	ათასი ლარი
ულის წყაროს რაიონის ბიუჯეტიდან	458	ათასი ლარი
იათურის ბიუჯეტიდან	342	ათასი ლარი
ის რაიონის ბიუჯეტიდან	330	ათასი ლარი
ის რაიონის ბიუჯეტიდან	316	ათასი ლარი
ეულის რაიონის ბიუჯეტიდან	313	ათასი ლარი
ყიბულის ბიუჯეტიდან	176	ათასი ლარი
რის რაიონის ბიუჯეტიდან	125	ათასი ლარი
ილის რაიონის ბიუჯეტიდან	109	ათასი ლარი
ომის რაიონის ბიუჯეტიდან	97	ათასი ლარი
აბნის რაიონის ბიუჯეტიდან	91	ათასი ლარი
ომის რაიონის ბიუჯეტიდან	88	ათასი ლარი
რეთის რაიონის ბიუჯეტიდან	68	ათასი ლარი
ჭილის რაიონის ბიუჯეტიდან	51	ათასი ლარი
ეთის რაიონის ბიუჯეტიდან	28	ათასი ლარი
რქის რაიონის ბიუჯეტიდან	15	ათასი ლარი

ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსავლისა და შორის თანაფარდობის აღდგენის მიზნით, გადაეცეს ფერტის სახით საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან ათასი ლარი, მათ შორის:

ზეთის ბიუჯეტს	1000	ათასი ლარი
ის ბიუჯეტს	1000	ათასი ლარი
ქალაქის რაიონის ბიუჯეტს	371	ათასი ლარი
რისა და გორის რაიონის ბიუჯეტს	359	ათასი ლარი
წმინდის რაიონის ბიუჯეტს	346	ათასი ლარი
ურის რაიონის ბიუჯეტს	299	ათასი ლარი
ის რაიონის ბიუჯეტს	285	ათასი ლარი
ციხის რაიონის ბიუჯეტს	270	ათასი ლარი
გაულის რაიონის ბიუჯეტს	250	ათასი ლარი
ის რაიონის ბიუჯეტს	242	ათასი ლარი
ურის რაიონის ბიუჯეტს	232	ათასი ლარი
ავის რაიონის ბიუჯეტს	229	ათასი ლარი
ლის რაიონის ბიუჯეტს	216	ათასი ლარი
ხეთის რაიონის ბიუჯეტს	210	ათასი ლარი
წყალტუბოს ბიუჯეტს	206	ათასი ლარი
ენჯის რაიონის ბიუჯეტს	201	ათასი ლარი
ტების რაიონის ბიუჯეტს	199	ათასი ლარი
გენის რაიონის ბიუჯეტს	186	ათასი ლარი
ენის რაიონის ბიუჯეტს	178	ათასი ლარი
რლის რაიონის ბიუჯეტს	170	ათასი ლარი
ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის ბიუჯეტს	167	ათასი ლარი
როლაურის რაიონის ბიუჯეტს	164	ათასი ლარი
ნეთის რაიონის ბიუჯეტს	164	ათასი ლარი
ის რაიონის ბიუჯეტს	160	ათასი ლარი
ტის რაიონის ბიუჯეტს	156	ათასი ლარი
ხატაურის რაიონის ბიუჯეტს	154	ათასი ლარი
ნისის რაიონის ბიუჯეტს	151	ათასი ლარი
ლგორის რაიონის ბიუჯეტს	142	ათასი ლარი
ის რაიონის ბიუჯეტს	141	ათასი ლარი
ის რაიონის ბიუჯეტს	137	ათასი ლარი
გის რაიონის ბიუჯეტს	107	ათასი ლარი
ის რაიონის ბიუჯეტს	101	ათასი ლარი
ტვილის რაიონის ბიუჯეტს	94	ათასი ლარი
შის რაიონის ბიუჯეტს	93	ათასი ლარი
ჯის რაიონის ბიუჯეტს	92	ათასი ლარი
ოროწყუს რაიონის ბიუჯეტს	81	ათასი ლარი
ჯაანის რაიონის ბიუჯეტს	77	ათასი ლარი
რიწყაროს რაიონის ბიუჯეტს	70	ათასი ლარი
ოლების რაიონის ბიუჯეტს	45	ათასი ლარი

ხლი 4. მიღებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო სპეციალ- ფონდების 1996 წლის შემოსავალ-გასავლის ბალანსები შე- ვლის ნაწილში 95.691 ათასი ლარის, ხოლო გასავლის ნაწი- 154.344 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: საქართველოს ალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთი- სახელმწიფო ფონდის მიხედვით — შემოსავლის ნაწილში 00 ათასი ლარის და გასავლის ნაწილში 111.000 ათასი ლა- ოდენობით; საქართველოს დასაქმების ერთიანი სახელმწიფო დის მიხედვით — შემოსავლის ნაწილში 2.200 ათასი ლარის ნობით, ხოლო გასავლის ნაწილში 2.200 ლარის ოდენობით; რთველოს ჯანმრთელობის დაცვის ცენტრალური სახელმწი- ფონდის მიხედვით — შემოსავლის ნაწილში 7.194 ათასი ლა- ხოლო გასავლის ნაწილში 24.147 ათასი ლარის ოდენობით; ერთიანი საგზაო სახელმწიფო ფონდის მიხედვით შემოსავლის ნაწილში 11.497 ათასი ლარის, ხოლო გასავლის ში 11.497 ათასი ლარის ოდენობით.

ტკიცდეს ზემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფო სპეციალური ნდების შემოსავლის და ხარჯების ბალანსები, თანახმად №№6, 7, და 9 დანართებისა.

ხლი 5. განისაზღვროს საქართველოს ეროვნული ბანკიდან ართველოს 1996 წლის ცენტრალური ბიუჯეტის დეფიციტის ების ზღვრული მოცულობა 110.921 ათასი ლარის ოდენობით ერთაშორისო სავალუტო ფონდისა და საქართველოს მთავრო- ს ერთობლივი მემორანდუმის მიხედვით 1996 წელს განსახორციე- ლებელი ფინანსური პროგრამის ფარგლებში, ერთი წლის ვადით ლოგი 15 პროცენტის გადახდით.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მოგებიდან შენატანები ყო- კვარტალურად ჩაირიცხოს საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში.

ხლი 6. განისაზღვროს საქართველოს მთავრობის მიერ საქარ- ველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დასაფარად მხო- ლი ბანკიდან მიღებული სესხის გამოყენების ზღვრული ოდე- ობა 118.607 ათასი ლარის ოდენობით.

ხლი 7. საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტისა და ტერი- რიული ერთეულების ბიუჯეტების ურთიერთვალდებულებების ისნული თანაფარდობის, აგრეთვე, ეკონომიკის სტაბილიზაცი- ს და საშუალოვადიანი ფინანსური პროგრამის განხორციელე- ისათვის 1996 წელს სახელმწიფო გადასახადებიდან ტერიტორიული რთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების ნორმატივები განისაზღვროს:

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი — 50 (თბილისისა- თვის — 55) პროცენტით;

საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებულ პროდუქციაზე და ეულ მომსახურებაზე დამატებული ღირებულების გადასახა- ი — 30 (თბილისისათვის — 35) პროცენტით;

მოგების გადასახადი („საფირმო" გადასახადის ჩათვლით) — 0 (თბილისისათვის — 55) პროცენტით;

ის გადასახადი — 50 პროცენტით;

— ფასიანი ქაღალდების ოპერაციების გადასახადი — 100 პრო- ის ოდენობით;

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადი, მათ შო- რიტყეო და წყალზე გადასახადი — 100 პროცენტის ოდენო- დ

ემოზე ზემოქმედების გადასახადი — 100 პროცენტის ნსით;

მეწარმეთა და ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი — ოცენტის ოდენობით;

სახელმწიფო ბაჟი — 100 პროცენტის ოდენობით;

ლუტის გადამცვლელი პუნქტების ფიქსირებული გადასახადი პროცენტის ოდენობით;

ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში მთლიანად ჩაი- ება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული და ამავე ანონმდებლობის დაცვით ადგილობრივი მმართველობის ორ- ოების მიერ შემოღებული ყველა ადგილობრივი გადასახადი, საკრებელი და გამოსალები.

სახელმწიფო შემოსავლების გეგმების — მოგების („საფირმო" გადასახადის ჩათვლით), დამატებული ღირებულების, ის და ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადე- 102,5 პროცენტის ზევით შესრულების პირობებში გა- მარბებული თანხის 80 პროცენტი დარჩეს ტერიტორიული რთეულის ბიუჯეტში, 10 პროცენტი გადაირიცხოს მხარეში საქა- რთველოს პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის ანგარიშზე, ხო- 10 პროცენტი — საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში.

საქართველოს პარლამენტის მიერ სახელმწიფო გადასახადებიდან ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების დამტკიცე- ლი ნორმატივის ზევით მიღებული შემოსავლები საქართველოს რეზიდენტთან შეთანხმებით მიიმართოს სახელმწიფო მიზნობრ- პროგრამების დასაფინანსებლად.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გაუქმდეს „საქართველოს რეს- ბლიკის 1994 წლის პირველი კვარტალის რესპუბლიკური ბიუ- ტის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 17 თე- ვლის კანონით დადგენილი სახელმწიფო საგადასახადო შე- სავლებიდან. ანარიცხების გრძელვადიანი ნორმატივები და, აგ- რეთვე, ამ კანონის გამოცემის შემდეგ დღემდე საკანონმდებლო აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და ტერიტორიული ერთეულების ხელისუფლებისა და მმართველობის განოების მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილებები, რომლე- ეწინააღმდეგებიან ამ კანონით დადგენილ სახელ- ფო საგადასახადო შემოსავლების განაწილების წესს.

მუხლი 8. 1996 წლის 1 იანვრიდან საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში მთლიანად ჩაირიცხოს საქართველოს ტერიტორიაზე მპორტის სახით შემოტანილ პროდუქციაზე დარიცხული დამა- ტებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, საბაჟო გადასახადი, ტრანზიტო გადასახადი და იმპორტირებულ ნავთობპროდუქტ- ზე ფიქსირებული გადასახადი.

მუხლი 9. საქართველოს ცენტრალურ და ტერიტორიული ერ- თეულების ბიუჯეტებს შორის სახელმწიფო გადასახადებიდან ნორმატივების დადგენილი ანარიცხების სწორად განაწილების კონტროლი განახორციელონ საქართველოს ფინანსთა სამინისტ- როს სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციამ და საბაჟო დეპა- რტამენტმა.

ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ორგანოების მიერ საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის სახსრების გამოყენების ყოველი შემთხვევა განიხილოს ფინანსთა სამინისტრომ და უკანონოდ მითვისებული სახსრები საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში ამოღებულ იქნეს ორმაგი ოდენობით.

მუხლი 10. 1996 წლის საფინანსო პროგრამის შესრულების უზრუნველსაყოფად, საგადასახადო შემოსავლის ზრდისა და მეწარმეთათვის თანაბარკონკურენტული გარემოს შექმნის აუცილებლობიდან გამომდინარე, 1996 წლის 1 მარტიდან გაუქმდეს საქართველოს ყველა დონის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებები ცალკეული სამეურნეო სუბიექტების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ინდივიდუალური საგადასახადო შეღავათების მინიჭების, ბიუჯეტში გადასახადებიდან გათავისუფლების თაობაზე და დაბეგვრის რეჟიმის შეცვლაზე, გარდა იმ შეღავათებისა, რომლებიც გამომდინარეობენ „უცხოური ინვესტიციების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონიდან და „დეპარტამენტ საქენერგოს ფინანსური მდგომარეობის სტაბილიზაციის შესახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 5 ივლისის № 268 ბრძანებულებიდან.

მუხლი 11. „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 24 დეკემბრის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ. № 12-13, მუხ. 240) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 5. გადასახადისაგან გათავისუფლება

1. დამატებული ღირებულების გადასახადისაგან თავისუფლდება:

ა) საქონელი და მომსახურება, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების ოფიციალური სარგებლობისათვის, აგრეთვე ამ წარმომადგენლობების დიპლომატიური და ადმინისტრაციული ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის;

ბ) ბინის ქირა;

გ) სახელმწიფო საწარმოთა ბაზაზე შექმნილ საიჯარო საწარმოთა საიჯარო გადასახადი;

დ) კონფისკებულ, უპატრონო ფასეულობათა, სახელმწიფოს საკუთრებაში მემკვიდრეობის უფლებით გადასულ ფასეულობათა, განძეულობისა და შესყიდული ფასეულობების რეალიზაცია;

ე) სახელმწიფო რეგულირებადი ფასებითა და ტარიფებით საქალაქო და შიდარაიონული მარშრუტებით სახელმწიფო სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) მგზავრთა გადაყვანა;

ვ) ხორბალი, ბავშვთა კვების პროდუქტები და რძის ფხვნილი (ამ კანონის მიღებიდან ექვსი თვის განმავლობაში), განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასკოლო სახელმძღვანელოები და რვეულები;

ზ) დაზღვევისა და გადაზღვევის ოპერაციები;

თ) შემდეგი სახის ფინანსური მომსახურება:

სესხის გაცემა-გადაცემა;

ოპერაციები, რომლებიც ეხება ფულად ანაბრებს, ანგარიშსწორებას, მიმდინარე და სხვა ანგარიშებს;

გადახდის კანონიერი საშუალებების — ვალუტის, ფულის, ბანკნოტის (გარდა ნუმიზმატური მიზნით გამოყენებულისა), აგრეთვე ფასიანი ქაღალდების (აქცია, ობლიგაცია, სერთიფიკატი, თამასუქი და სხვა) მიმოქცევასთან დაკავშირებული ოპერაციები, გარდა საბროკერო და სხვა საშუამავლო მომსახურებისა, ასევე აღნიშნული გადახდის საშუალებებისა და ქაღალდების დამზადებისა და შენახვის ოპერაციები, რომლებზეც გადაიხდება გადასახადი;

ი) საფოსტო მარკები (საკოლექციოს გარდა);

კ) წრეებში, აქციებში, სტუდიებში ბავშვებისა და მოზარდების სწავლების გადასახდელი, აგრეთვე სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა შენახვისა და ავადმყოფების, ინვალიდთა და ღრმად მოხუცებულთა მოვლასთან დაკავშირებული მომსახურება.

ლ) დაკრძალვისა და საფლავის მოწყობასთან დაკავშირებული მომსახურება ძეგლისა და საფლავის ქვის დამზადების ჩათვლით;

მ) სამკურნალწამლო საშუალებების ექვსი დასახელება: ციტოფაქსიმი ინექციისათვის, ინსულინი ინექციისათვის, ციკლოფოსფამიდი ინექციისათვის, გლიბენკლამიდის, კარბამაზეპინისა და ნიფედიპინის აბები; ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების საფასური;

ნ) საპროთეზო-ორთოპედიული ნაწარმი, სამედიცინო ტექნიკა, ტექნიკური საშუალებები (ავტომოტოტრანსპორტის ჩათვლით), რომლებიც გამოიყენება ინვალიდობის პროფილაქტიკისათვის და ინვალიდების რეაბილიტაციისათვის;

ო) საქონლის რეექსპორტი, საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას რეექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე გადაიხდევინება დამატებული — ღირებულების გადასახადი, ხოლო საქართველოს ტერიტორიიდან აღნიშნული საქონლის გატანისას გადამხდელს უბრუნდება საქონლის შემოტანისას გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხა ფაქტიურად გატანილი საქონლის რაოდენობის მიხედვით;

პ) საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი საქონელი;

ჟ) საქართველოს იურიდიული და ფიზიკური პირების კუთვნილი ქონების რეიმპორტი, რომელიც განკუთვნილი იყო უცხოეთში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და სხვა დაწესებულებების საქმიანობის უზრუნველსაყოფად;

რ) იმპორტული საქონელი საბაჟო საწყობებში მოთავსებისას. მათი დაბეგვრა ხდება დადგენილი წესით, ამ საქონლის საწყობებიდან მიმოქცევაში გაშვებისას, ხოლო სხვა საბაჟო რეჟიმის პირობებში — ამ რეჟიმის შესაბამისად;

ს) ეროვნული და უცხოური ვალუტის, ბანკნოტების, რომლებიც გადახდის კანონიერი საშუალებებია, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების (აქცია, ობლიგაცია, სერთიფიკატი, ვექსილი და სხვა) იმპორტი;

ტ) საქართველოს ტერიტორიაზე დროებით შემოტანილი საქონელი;

უ) სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციისათვის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარებით საქართველოში შემოტანილი საქონელი საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული წესით;

ფ) საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასური;

ქ) ძირითადი საშუალებების, მათი სათადარიგო და მაკომპლექტებელი ნაწილების იმპორტი საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სასაქონლო სისტემის 84-ე და 85-ე თავების შესაბამისად;

ღ) საქართველოს საპატრიარქოს საკუთარი სახსრებით შექმნილ საწარმოში წარმოებული და რეალიზებული საეკლესიო დანიშნულების შემდეგი სახის საქონელი: სანათლავი ჯვარი, სანთელი, ხატი, წიგნი და კალენდარი.

ყ) იმპორტირებული ნავთობპროდუქტები;

შ) საქართველოს საპატრიარქოს ნებართვით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა;

ჩ) საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული და გამოცემული ჟურნალ-გაზეთები.

2) კანონის ამ მუხლში აღნიშნული შეღავათები ვრცელდება მხოლოდ საქართველოში.

3. დამატებული ღირებულების გადასახადისაგან გათავისუფლებული საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ნუსხა ერთიანია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე".

2. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქონლის (სამუშაოს, მომსახურების), რეალიზაციისას გამოიყენება განაკვეთი 20 პროცენტის ოდენობით, ხორბლისა და ქვავის პურის, ხორბლისა და ქვავის ფქვილის რეალიზაციისას გამოიყენება განაკვეთი 10 პროცენტის ოდენობით.

საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) დსთ ფარგლებს გარეთ ექსპორტისას, ამ საქონლის გადაზიდვასთან დაკავშირებული მომსახურებისას, აგრეთვე დსთ ტერიტორიის გავლით უცხოეთის ტვირთის ტრანზიტის მომსახურებისას გამოიყენება ნულოვანი განაკვეთი".

ამავე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეხუთე პუნქტი:

„5. საწარმოო რესურსებზე დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლა განხორციელდეს მისი განაღდებისთანავე ან მისი გადატვირთვიდან 90 დღის შემდეგ, იმის გათვალისწინებით, თუ რომელი პირობა უფრო ადრე დადგება".

4. მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე"-„ჩ" ქვეპუნქტების შესაბამისად". ამავე მუხლის მე-6 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს მეორე აბზაცი.

5. მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ყოველთვიურად საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) გასული თვის რეალიზაციის მიხედვით, არა უგვიანეს მომდევნო თვის 20 რიცხვისა — საწარმოების მიერ, რომელთა საშუალო თვიური გადასახდელი აღემატება 500 ლარს;

ბ) ყოველკვარტალურად საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) გასული კვარტალის რეალიზაციის მიხედვით არა უგვიანეს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 20 რიცხვამდე — საწარმოების მიერ 500 ლარამდე საშუალო თვიური გადასახდელებით"

მუხლი 12. „აქციზის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 24 დეკემბრის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ., № 12-13, მუხ. 242). შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2) საქონლის იმპორტისას დასაბეგრი თანხა განისაზღვრება ამ საქონლის საბაჟო ღირებულების (საბაჟო გადასახადის ჩათვლით) მიხედვით".

2. მე-5 მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტები გადმოიცეს შემდეგი რედაქციით:

„ა) აქციზური საქონლის ექსპორტი დსთ ფარგლებს გარეთ;

„ბ) აქციზური საქონლის რეექსპორტი, საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას რეექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე გადაიხდევინება აქციზი, ხოლო საქართველოს ტერიტორიიდან აღნიშნული საქონლის გატანისას გადამხდელს უბრუნდება საქონლის შემოტანისას გადახდილი გადასახადის თანხა, ფაქტიურად გატანილი საქონლის რაოდენობის მიხედვით".

3. მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ" პუნქტი:

„თ) იმპორტული საავტომობილო ბენზინი".

4. მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) იმპორტული საქონლის საბაჟო ღირებულების და საბაჟო გადასახადის თანხის ჯამისა და დადგენილი განაკვეთების მიხედვით".

მუხლი 13. „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 24 დეკემბრის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ., № 12-13, მუხ. 248). შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. დაუბეგრავი შემოსავალი.

1. ფიზიკური პირების ერთობლივი დასაბეგრი შემოსავლის შემადგენლობაში არ შეიტანება:

ა) სახელმწიფო სოციალური დაზღვევის და სოციალური უზრუნველყოფის ხაზით სახელმწიფო დახმარება;

სახელმწიფო დახმარებას, რომელიც არ შეიტანება ერთობლივ შემოსავალში, მიეკუთვნება შემდეგი დახმარებანი:

ორსულობისა და მშობიარობის გამო;

ბავშვის მოსავლელად (მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ასაკის მიღწევამდე);

ბავშვობიდან ინვალიდებისათვის;

ვადიან სამხედრო მომსახურეთა ბავშვებისათვის;

მარტოხელა დედებისათვის;

ქვრივებისათვის, რომლებსაც ჰყავთ ბავშვები, მაგრამ არ ღებულობენ პენსიას მარჩენალის დაკარგვის გამო;

მცირეწლოვანი ბავშვებისათვის, რომელთა მშობლები იძებნებიან ალიმენტის გადაუხდელობის გამო — ძებნის პერიოდში;

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაცემული სხვა დახმარებები.

ბ) ყველა სახის პენსია, რომელიც დანიშნულია საქართველოს საპენსიო კანონმდებლობის შესაბამისად, აგრეთვე პენსიის ნებაყოფლობითი დაზღვევის პირობებით გაცემული დამატებითი პენსია;

გ) თანხა, მიღებული დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვაგვარ დაზიანებასთან დაკავშირებით შრომისუუნარიანობის დაკარგვისას ზიანის ანაზღაურებად, აგრეთვე მარჩენალის დაკარგვის გამო;

დ) ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ მუშაკთა მოკლევადიანი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისას გადასახადით დასაბეგრ შემოსავალში არ შეიტანება კანონმდებლობით დადგენილი ნორმის ფარგლებში სადღეღამიო, აგრეთვე დანიშნულების ადგილამდე და უკან მგზავრობისას ფაქტიურად გაწეული მიზნობრივი ხარჯები, აეროპორტის მომსახურების მოსაკრებლები, სადაზღვევო და საკომისიო მოსაკრებლები აეროდრომზე ან ვაგზალზე მისვლის (ტაქსით მგზავრობის გარდა), ბარგის გადატანის, საცხოვრებელი ფართის დაქირავების, საზღვარგარეთული პასპორტისა და ვიზის, საზღვარგარეთულ პასპორტში ჩაწერის, ასევე ბანკში ჩეკის საზღვარგარეთის ნაღდ ვალუტაზე გადაცვლის ხარჯები;

ე) უმუშევრობისათვის კანონმდებლობით დადგენილი დახმარება;

ვ) სტიქიური უბედურებისა და სხვა საგანგებო ვითარების გამო მიღებული დახმარების თანხა, მიუხედავად მისი ოდენობისა;

ზ) საქართველოსა და სხვა ქვეყნების სახელმწიფო სესხის ობლიგაციების მოგების და ასეთი ობლიგაციების განაღდების თანხა;

თ) საქართველოს საბანკო დაწესებულებებში ანაბრებისა და საქართველოს სახელმწიფო სახაზინო ვალდებულების მიხედვით პროცენტიდან მოგება;

ი) თანხა, რომელსაც მოქალაქეები იღებენ სისხლის ჩაბარებისას; სხვადასხვა დონორობის თანხა, აგრეთვე თანხა, რომელსაც სამედიცინო დაწესებულებათა მუშაკები იღებენ სისხლის შეგროვებისათვის;

კ) ფიზიკურ პირთა მიერ მიღებული ალიმენტი;

ლ) მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული ქონების გაყიდვით მიღებული თანხა, კომერციული საქმიანობით პროდუქციისა და სხვა ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის გარდა;

მ) პირად მეურნეობაში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციით მიღებული მოქალაქეთა შემოსავალი. ფიზიკური პირის პირადი მეურნეობის არსებობა დასტურდება მმართველობის ადგილობრივი ორგანოს ცნობით;

ნ) უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და ასპირანტთა სტიპენდიები, რომლებსაც მათ უნიშნავენ სასწავლებლები".

2. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ფიზიკურ პირთა ერთობლივი შემოსავალი გადასახადით დაბეგვრის პერიოდში მცირდება საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმის თანხით შემოსავლის მიღების თითოეულ სრულ თვეზე".

3. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. საგადასახადო შეღავათები

1. გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) ბავშვობიდან ინვალიდები, აგრეთვე მხედველობის მიხედვით პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები;

ბ) ომის ვეტერანები;

გ) „ქართლის დედის" წოდების მქონე პირები.

2. გამოანგარიშებული გადასახადის 50 პროცენტის გადახდისაგან თავისუფლდებიან პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები, ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინვალიდების გარდა.

3. დივიდენდის სახით მიღებულ შემოსავალზე საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი განისაზღვროს 10 პროცენტის ოდენობით".

მუხლი 14. „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1993 წ. 21 დეკემბრის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ., № 12-13 მუხ. 228). შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდება:

ა) საპროთეზო ორთოპედიული საწარმოების მიერ პროფილური საქმიანობით მიღებული მოგება;

ბ) ინვალიდებისათვის და ინვალიდთა რეაბილიტაციისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებების წარმოებით მიღებული მოგება;

გ) საქართველოს საპატრიარქოს საკუთარი სახსრებით შექმნილ საწარმოებში საეკლესიო დანიშნულების საქონლის: სანათლავი ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნისა და კალენდრის წარმოებით და რეალიზაციით მიღებული მოგება".

2. გაუქმდეს მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

3. მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულმა შეღავათებმა გადასახადის ფაქტიური თანხა, რომელიც გამოანგარიშებულია შეღავათების გაუთვალისწინებლად, არ უნდა შეამციროს 30 პროცენტზე მეტად".

მუხლი 15. კავშირგაბმულობის, რკინიგზის, საქენერგოსა და საჰაერო ტრანსპორტის ობიექტების საფინანსო მდგომარეობის სტაბილიზაციამდე და მათ სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანამდე ბიუჯეტთან ანგარიშსწორება მოგების გადასახადისა და დამატებული ღირებულების გადასახადის მიხედვით განხორციელდეს საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტთან.

მუხლი 16. 1996 წლის 1 იანვრიდან არ გავრცელდეს „საწარმოთა მოგების შემოსავლის გადასახადის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 21 დეკემბრის კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სარეზერვო და ანალოგიური დანიშნულების ფონდების შექმნის წესი ბანკებსა და საკრედიტო დაწესებულებებზე.

ამასთან, ამ წესის შესაბამისად, რეზერვების შექმნისას კომერციულ ბანკებზე არ გავრცელდეს საჯარიმო სანქციები 1995 წლის 1 ივნისიდან

ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში სესხზე შესაძლო დანაკარგების რეზერვის ფორმირება მოხდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული წესებისა და ნორმატივების შესაბამისად საოპერაციო ხარჯებისათვის მიკუთვნებით.

მუხლი 17. შენარჩუნებულ იქნეს საბაჟო გადასახადის შეღავათები:

ჰუმანიტარულ დახმარებაზე, რომელიც გადაეცემათ საქართველოს სახელმწიფო ორგანოებს; დიპლომატებზე და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლებზე (პერსონალზე); კულტურის დაწესებულებათა პროფილური დანიშნულების არაკომერციულ იმპორტზე; ბავშვთა კვების პროდუქტებზე; მე-12 მუხლში ჩამოთვლილი სამკურნალწამლო საშუალებების 6 სახეობაზე, აგრეთვე იმპორტირებულ ნავთობპროდუქტებზე.

მუხლი 18. „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 21 დეკემბრის კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ. № 12-13, მუხ. 231) 21-ე მუხლს დასაწყისში დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი: „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში საქართველოდან გატანილი საქონელი იბეგრება აქციზით (აქციზურ საქონელზე), დამატებული ღირებულების გადასახადით, ხოლო ამ ქვეყნებში წარმოებული და საქართველოში შემოტანილი საქონელი დამატებული ღირებულებისა და საბაჟო გადასახადებით არ იბეგრება".

მუხლი 19. საქონელგაცვლითი (ბარტერული) ოპერაციების განხორციელებისას გასაცვლელ საქონელზე საბაჟო გადასახადი შემცირდეს 20-დან 12 პროცენტამდე, ისე, როგორც ეს დაწესებულია სხვა იმპორტულ საქონელზე.

ექსპორტის სტიმულირების მიზნით, ის საიმპორტო საქონელი, რომელიც წარმოებაში გამოიყენება, მისგან წარმოებული პროდუქცია კი მთლიანად საექსპორტოა, გათავისუფლდეს იმპორტზე დაწესებული საბაჟო გადასახადისაგან.

სატრანზიტო ვაჭრობასა და დროებით შემოტანილ საქონელზე დაწესდეს საგირავნო უზრუნველყოფა.

მუხლი 20. გაუქმდეს ვაჭრობის და მომსახურების სფეროს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ხელისუფლებისა და მმართველობის ყველა ტერიტორიული ორგანოს მიერ შემოღებული დროებითი ფიქსირებული გადასახადები.

ფიქსირებული („საფირმო") გადასახადი დაწესდეს მხოლოდ 20 კვადრატულ მეტრამდე ფართის მქონე საწარმოსათვის.

საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო და მომსახურების სფეროს საწარმოების, ორგანიზაციების (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად) და ინდივიდუალური მეწარმეებისათვის დამატებული ღირებულებისა და მოგებია (საშემოსავლო) გადასახადების ნაცვლად მათ მიერ დაკავებული საერთო ფართის მიხედვით დაწესდეს დროებითი ფიქსირებული საფირმო გადასახადი;

10 კვადრატულ მეტრამდე საერთო ფართის მქონე ობიექტებისათვის — 13 ლარი თვეში;

10-დან 20 კვადრატულ მეტრამდე საერთო ფართის ობიექტებისათვის — ყოველ დამატებით კვადრატულ მეტრზე — 1 ლარი თვეში.

შემცირდეს საფირმო გადასახადი 40 პროცენტით სოფლის ტერიტორიაზე მდებარე ობიექტებისათვის, ხოლო ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალებსა და მოედნებზე განლაგებული ობიექტებისათვის გაიზარდოს არა ნაკლებ 30 პროცენტით.

დროებითი საფირმო გადასახადი არ ვრცელდება ცეკავშირისა და კავშირგაბმულობის საწარმოებსა და ორგანიზაციებზე.

მუხლი 21. გაუქმდეს „რესპუბლიკის ნავთობპროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესების დროებითი ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 4 მარტის № 67 ბრძანებულება და მასთან დაკავშირებით საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში შემოტანილ ნავთობპროდუქტებზე საბაჟო გადასახადის, აქციზის, დამატებული ღირებულების გადასახადის, გარემოზე ზემოქმედების გადასახადისა და მოგების გადასახადის ნაცვლად ნატურალურ გადასახადს შემოტანილი ნავთობპროდუქტების მოცულობის 10 პროცენტის ოდენობით. საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილ ნავთობპროდუქტებზე საბაჟო, აქციზისა და დამატებული ღირებულების გადასახადის სანაცვლოდ შემოღებულ იქნეს ფიქსირებული გადასახადი საბაჟო ღირებულების 15 პროცენტის ოდენობით, რომელიც ჩაირიცხოს საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში.

მუხლი 22. მეწარმეობის სამეურნეო სუბიექტების საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი ხელშეწყობისა და საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით შემცირდეს:

ა) სამეურნეო სუბიექტების საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა შრომის ანაზღაურების ფონდიდან საქართველოს დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში გადასახადის განაკვეთი 3 პროცენტიდან 1 პროცენტამდე, იმის გათვალისწინებით, რომ საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებები და ორგანიზაციები ამ გადასახადს არ გადაიხდიან.

ამ ფონდის შემოსავალი ძირითადად მოხმარდეს უმუშევართა დახმარების გაცემასა და აპარატის შენახვას;

ბ) შრომის ანაზღაურების ფონდის მიმართ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სავალდებულო შენატანების ოდენობა განისაზღვროს:

წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის (დამსაქმებელი იურიდიული პირები, „დამზღვევები") საკუთრების ფორმისა და უწყებრივი დაქვემდებარების განურჩევლად — 29 პროცენტით;

საელჩოების, საკონსულოების, წარმომადგენლობებისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, მათთან მომუშავე საქართველოს მოქალაქეთა შრომის ანაზღაურების ფონდში — 15 პროცენტით;

ინვალიდთა და პენსიონერთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მათი საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის — 10 პროცენტით.

შრომის ანაზღაურების ფონდში ჩაითვლება ხელფასი, პრემია, მატერიალური წახალისება, ჯილდო, გარდა ამისა, ყოველგვარი სხვა დახმარება, რომელიც აღემატება ერთი თვის ხელფასს.

აღნიშნულ ორგანიზაციებში დასაქმებულ საქართველოს მოქალაქეთა პირადი სავალდებულო შენატანები სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტში, შრომის ანაზღაურების ფონდის მიმართ — 1 პროცენტი.

5 წლით გაიზარდოს საპენსიო ასაკი ყველა კატეგორიის მუშაკთათვის, ასევე სოციალური პენსიის (შემწეობის) დასანიშნად.

საპენსიო ასაკის გაზრდა არ გავრცელდება იმ მოქალაქეებზე, რომელთაც პენსია დაენიშნათ ამ კანონის მიღებამდე.

გ) საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის ზემოხსენებული გადასახადის განაკვეთი განისაზღვროს 26 პროცენტის ოდენობით.

მუხლი 23. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის, დასაქმების, საგზაო და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდების კონსოლიდაციასთან ერთად სახელმწიფო ფინანსური რესურსების მართვის ცენტრალიზაციისა და ამ სახსრების ხარჯვაზე კონტროლის გაძლიერების მიზნით გაუქმდეს, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ყველა სახელმწიფო სპეციალური ფონდი, ხოლო ზემოხსენებულ ფონდებში შემოსავლის მობილიზაციისა და სახსრების ხარჯვაზე კონტროლის დაწესების მიზნით გაუქმდეს ამ ფონდების შემოსავლისა და ხარჯების ანგარიში მათ მომსახურე ბანკებში. ამასთან ერთად დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უმოკლეს ვადაში სახაზინო მომსახურებაზე გადაიყვანოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფო ფონდი.

მუხლი 24. თურქეთის რესპუბლიკისგან 1993 წელს საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი კრედიტის ხარჯზე ცალკეული სამეურნეო სუბიექტებისათვის გაცემული სესხის დაბრუნების მიზნით ქვემოთ ჩამოთვლილმა სამინისტროებმა, საწარმოებმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრის მიერ დადგენილ ვადებში, საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში 1996 წელს ჩარიცხონ 18.700 ათასი ლარი, მათ შორის:

1. საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრომ —2.000 ათასი ლარი
2. საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრომ — 8.600 ათასი ლარი
3. შულავერის მატყლის ფაბრიკამ — 1,900 ათასი ლარი
4. რუსთავის ცემენტის ქარხანამ — 1.000 ათასი ლარი
5. ფირმა „არაგვმა" — 500 ათასი ლარი
6. ფირმამ „ფარი და კო" — 1,850 ათასი ლარი
7. სააქციო საზოგადოებამ „კოკა-კოლა კავკასიონი" — 2.850 ათასი ლარი.

მუხლი 25. დაიხუროს ყოფილ მინისტრთა კაბინეტთან არსებული სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან შემოსული სახსრების სპეციალური ანგარიში და ასეთი ანგარიში გაიხსნას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხაზინაში.

1996 წლიდან სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან მიღებული სახსრების გამოყენება განხორციელდეს საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით.

მუხლი 26. მაკონტროლებელი ორგანოების მიერ წარმოება-დაწესებულებების შემოწმების დროს გამოვლენილი მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი ამოიღება მატერიალურად პასუხისმგებელი პირისაგან ამ ფასეულობათა საბაზრო ღირებულების ორმაგი ოდენობით.

აქედან, მატერიალურ ფასეულობათა საბალანსო ღირებულება აღდგენილ იქნეს შესაბამისი წარმოება-დაწესებულებების ბალანსზე, ხოლო სხვაობა ჩაირიცხოს საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში.

მუხლი 27. მსოფლიო ბანკთან შეთანხმებით საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეორგანიზაციის პროგრამის განხორციელების ხელშეწყობისათვის საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ბიუჯეტიდან 1996 წლის განმავლობაში გამოიყოს 4.797 ათასი ლარი.

მუხლი 28. 1996 წლის განმავლობაში საქართველოს სამინისტროების, უწყებების საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკთა ოდენობა არ უნდა გაიზარდოს 1996 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებულ საშტატო ოდენობასთან შედარებით. წლის განმავლობაში სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდეს 1996 წლის დასაწყისში არსებული საშტატო ოდენობის ფარგლებში.

მუხლი 29. სამინისტროებმა, კომიტეტებმა, დეპარტამენტებმა, უწყებებმა და საბიუჯეტო დაწესებულებებმა არ დაუშვან ფაქტიური ხარჯების გაწევა ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადაჭარბებით. მოსალოდნელი ასეთი ხარჯების შემთხვევაში საკითხი წინასწარ შეათანხმონ საქართველოს ფინანსთა მინისტრთან. მათ დამატებითი ხარჯების გაწევის უფლება ეძლევათ მხოლოდ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნებართვით, სათანადო ფინანსური წყაროს გამოძებნის შემთხვევაში.

უნებართვოდ დამატებითი ხარჯების გაწევის შემთხვევაში განხილულ იქნეს სამეურნეო სუბიექტების პირველი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხი, ამასთან, უნებართვოდ დამატებით გაწეული ხარჯების ოდენობით შემცირდეს ბიუჯეტით გამოყოფილი დაფინანსება.

მუხლი 30. საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ცენტრალური ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი მოსალოდნელი გადაუდებელი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით შეიქმნას:

საქართველოს პრეზიდენტის ფონდი 6 მილიონი ლარის ოდენობით, რომელსაც განკარგავს საქართველოს პრეზიდენტი;

სახელმწიფო სარეზერვო ფონდი 2 მილიონი ლარის ოდენობით, რომელსაც განკარგავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით;

უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა დახმარების ფონდი 100 ათასი ლარის ოდენობით, რომელსაც განკარგავს საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრი;

უმწეო მდგომარეობაში მყოფ ლტოლვილთა დახმარების ფონდი 100 ათასი ლარის ოდენობით, რომელსაც განკარგავს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1996 წლის 9 თებერვალი.

ინფორმაცია

პოლიცია უძლურია?

მცხეთის რაიონში მცხოვრებ ქალთა შორის, რომლებიც თვეობით, წლობითაც კი იმყოფებიან საბერძნეთსა და თურქეთში, ბევრია ისეთი, ვინც იქ საკუთარი სხეულით ვაჭრობს. ასეთია ოპერატიული მონაცემები, რომლებიც მცხეთის რაიონის პოლიციის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროს სულიკო ჩალაშვილს აქვს. ეს ქალები პერიოდულად, ხანმოკლე დროით ბრუნდებიან შინ, რაიონში. საიდუმლო როდია, რომ ამ ქალების ამგვარი საზღვარგარეთული „გასტროლები“, იმის გათვალისწინებით, რომ რესპუბლიკაში უკვე არიან შიდსით დაავადებულები, დიდ საშიშროებას წარმოადგენს საზოგადოებისათვის. ამავე დროს, რაიონში არ არის ვენეროლოგიური სამსახური, რომლის მეშვეობითაც, პოლიცია შეამოწმებდა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას. გარდა ამისა, პოლიციას სხვა სირთულეებიც აქვს, თუ იგი გადაწყვეტს განახორციელოს ამ ქალების პროფილაქტიკური შემოწმება თბილისში, პრაქტიკულად ვერ შეძლებს, რადგან ამგვარი ღონისძიება ოფიციალურად ძვირი ღირს. იგივე შეიძლება ითქვას საჭირო ლაბორატორიული ანალიზების ჩატარებაზეც ორგანიზმში ნარკოტიკების შემცველობის განსაზღვრის მიზნით, როგორც რაიონული პოლიციის უფროსმა ხასო სხვიტარიძემ თქვა, შექმნილი მდგომარეობა გარკვეულ წილად ადგილობრივი პოლიციის მიზეზითაც მოხდა, რომლის უძლურობა უფულობის გამო, ყოვლად გაუმართლებელია.

თენგიზ ჩხიკვაძე.

მკვლელს — დახვრეტა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განიხილა, ორჯერ ნასამართლევი ალი მახმუდ ოღლი სულეიმანოვის საქმე, რომელიც თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან იყო გამოპარული და თავს აფარებდა გარდაბნის რაიონის სოფელ ახალშენში მცხოვრებ სევილ მახმუდ კიზი მამედოვას ოჯახს. უკანასკნელთან იგი ფაქტობრივ ქორწინებაში იმყოფებოდა.

1995 წლის 28 აპრილს ნთვრალმა ალი სულეიმანოვმა შელაპარაკების ნიადაგზე, განსაკუთრებული სისასტიკით, შვილის მახირ მამედოვის თვალწინ, სიცოცხლეს გამოასალმა სევილ მამედოვა. შემდეგ კი დანაშაულის დაფარვის მიზნით, ბავშვს გულმკერდის არეში დაარტყა დანა. მიღებული ჭრილობის შედეგად 7 წლის მახირ მამედოვი ადგილზე გარდაიცვალა.

სასამართლო კოლეგიამ გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულის განსაკუთრებული სისასტიკე, მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება და ბოროტმოქმედს განუსაზღვრა სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრესცენტრი.

სამი ათასი სიკვდილმისჯილი ციხეშია

19 წლის განმავლობაში პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში, იუტას შტატის ციხეში დახვრიტეს სიკვდილმისჯილი 36 წლის ჯონ ალბერტ ტეილორი. სასჯელის ეს უმაღლესი და განსაკუთრებული ზომა მას მიესაჯა 11 წლის გოგონას გაუპატიურებისა და მკვლელობისათვის.

იუტას შტატის კანონი სიკვდილმისჯილს უფლებას აძლევს თვითონ აირჩიოს განაჩენის აღსრულების ფორმა — დახვრეტა ან სასიკვდილო ინექცია. ტეილორმა დახვრეტა ირჩია. მისმა ადვოკატებმა ეს გადაწყვეტილება იმით ახსნეს, რომ ტეილორს სურდა ამერიკის საზოგადოებრიობის ყურადღება მიეპყრო სასიკვდილო განაჩენების გამოტანის პრობლემისათვის.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლით გაირკვა, რომ ამერიკელთა ნახევარზე მეტს სიკვდილით დასჯა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებელ ზომად მიაჩნია.

ამერიკის შეერთებული შტატების ციხეებში ამჟამად 3.000 სიკვდილმისჯილი ელოდება განაჩენის აღსრულებას. შარშან 56 ბოროტმოქმედის მიმართ აღსრულდა განაჩენი!

პრესა

რაც თქვენ გგონიათ კარგი, არის ძალიან ცუდი

„თბილისის მოსახლეობას ბინებში დაუყენდეს მრიცხველები“... — ეს არის ციტატა და ზუსტად ასე — დაუყენდეს — წერია საქართველოში გამოცემულ ქართულ გაზეთში, რომელსაც ჰქვია „მიმომხილველი“ (№10).

„დაუყენდეს“ რისთვის?

დახარჯული გაზის აღრიცხვისათვის.

გაზი არ არის?

იქნება. ვიცით ჩვენ ეს. იცის „მიმომხილველის“ რედაქციამ, მისმა „ეკონომიკის რედაქტორმაც“ (ასეა დაფიქსირებული მათი თანამდებობრივი ნუსხა მეორე გვერდზე: ეკონომიკის რედაქტორი, სპორტის რედაქტორი, საზოგადოებისა და კულტურის რედაქტორი...).

ასე იციან და...

კიდევ აქვეყნებენ მესამე გვერდზე წერილს — „თბილისს შეიძლება ბუნებრივი აირი მიეწოდოს“.

„მიეწოდოს“-ს თავი დავანებოთ. „მიეწოდება-არ მიეწოდება“ ქართულს ბევრი მიეჩვია და ყველას ხომ არ გადავიმტერებ! ამიტომ — შევარგოთ!

ბუნებრივ გაზს დავუბრუნდეთ, აირს (ვის ყურს როგორც ელამუნება, ის სიტყვა ამოიკითხეთ, „დანარჩენი გადახაზეთ“).

მაშ ასე, გამოაქვეყნა „მიმომხილველმა“ 19 თებერვალს საუბარი ტრესტ „თბილგაზის“ მმართველთან აკაკი კობახიძესთან, რომელიც მარტივად და გასაგებად უხსნის ინტერვიუერს, თუ როგორ, რა პრინციპით განხორციელდება მერიისა და „თბილგაზის“ ექსპერიმენტი, დედაქალაქის ზოგიერთი უბნისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდებას რომ ითვალისწინებს.

კარგი საქმეა, ღმერთმანი, და გაგიხარდება კაცს იმედის მატერიალიზაცია თუნდაც ექსპერიმენტის სახით — გვექნება გაზი!

მაგრამ ტყუილად გაიხარებთ, რადგან ძალიან ცუდი რამ ყოფილა მოსახლეობის გაზით მომარაგება, განსაკუთრებით, თუ ეს საწვავი საქართველოშივეა მოპოვებული!

თანამემამულეებისათვის ამაზე უარესსა და საშინელს მშობლიური მთავრობის მეტი ვერავინ ვერაფერს მოიგონებდა, რადგან ასეთ ეკონომიკურ ნიადაგზე მის მიერ მიღებულმა „პოპულარულმა გადაწყვეტილებებმა“ შეიძლება კომუნისტურ ეპოქაში დააბრუნოს საქართველო(!), — უკვე პირველ გვერდზე ამტკიცებს „მიმომხილველი“.

ასეა ეს, „რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოეჩვენოს ვინმეს“.

რაც თქვენ გგონიათ კარგი, ყოფილა ძალიან ცუდი. და აზრის ამ უნიკალურ მიდენ-მოდენას ასეთი მსჯელობით გვისაბუთებს ავტორი:

„იაფი ენერგიის“ (იგულისხმება ბუნებრივი გაზი — ა. გ.) აღმოჩენამ და მოპოვებამ შეიძლება ხელიც კი შეუშალოს საქართველოში ჭეშმარიტად ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას და რაც მთავარია იმ მენტალიტეტის დამკვიდრებას, რომელიც ყოვლად აუცილებელია ამ ურთიერთობათა ნორმალური განვითარებისათვის“.

კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ (სტილი, ტერმინოლოგია, ორთოგრაფია ზემოთ, აქ და ქვემოთ დაცულია) და — ცოტაღა დარჩა:

„როდესაც საქართველო ბუნებრივ აირს თურქმენეთისგან ყიდულობდა და ქვეყნის მთავრობა პასუხისმგებელი იყო უცხოელი კრედიტორის წინაშე, — იგი იძულებული ხდებოდა მოსახლეობაშიც გარკვეულად დაემკვიდრებინა პასუხისმგებლობის გრძნობა, გარდა ამისა, ენერგეტიკულმა კრიზისმა საქართველოს მოსახლეობას რეალობა დაანახა და „ჩაახედა“ საკუთარ შესაძლებლობებში“.

დაკვირვებით „ჩავიხედოთ საკუთარ შესაძლებლობებში“ და დავრწმუნდებით, რომ ამ მსჯელობაში სწორედ რეალობაა თავდაყირა დაყენებული ურთიერთგამომრიცხავი წინადადებებით. მაგრამ ამისთვის ნუ მოვცდებით, რადგან მთავარი საშიშროება სხვა არის: ჭეშმარიტად ცივილიზებულ საბაზრო ურთიერთობებს საქართველოში ვერ ჩამოვაყალიბებთ, თუ მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება საქართველოშივე მოპოვებული ბუნებრივი გაზით.

„საკითხავი აი, ეს არის“.

ამიტომ სანამ დროა, დავგმანოთ ვარკეთილის ჭაბურღილი, „საბაზრო მენტალიტეტიც“ შეგვიძრება და გაძვალტყავებულები მტკიცე ნაბიჯით წავალთ კაპიტალიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ.

მაგრამ ეს გაკვეთილი თითქოს უკვე გავიარეთ შეერთებულმა პროლეტარებმა ყველა ქვეყნისა.

კი ეცადა საწინააღმდეგოს დამტკიცებას, მაგრამ სწორედ ასე გამოუვიდა გაზეთს.

ან მე ვერ გავიგე, რადგან რაც მეტი და მეტი წერილი წავიკითხე იმ „მიმომხილველში“, უფრო და უფრო გამჟღავნდა ჩემი სწავლა-განათლების თეთრი ლაქები.

იმითღა ვიმშვიდებ თავს, რომ, ალბათ, არც სხვამ იცის („მიმომხილველის“ გარდა, ცხადია), რომ მაგალითად, უორენ კრისტოფერი ამერიკის შეერთებული შტატების გენერალური მდივანია (!), რომ, სამაგიეროდ, საქართველოში გვყავს სახელმწიფო მდივანი(!), რომ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს რაღაც საერთო აქვს ოსებთან, თორემ რატომ მონათლავდა გაზეთი ჟუპეს და ალანს(!) დაარქმევდა ალენის ნაცვლად?

და კიდევ ზოგი რამ „სანავთობო კომპანიის“ და „უფუნქციო მდგომარეობაში მყოფი მილსადენები კვლავ მწყობრში ჩადგნენ“-ის მსგავსი.

ამის მთქმელიც არ ვიყავი. ყველამ თავის საქმეს მიხედოს...

კვირასაღამოს ჩვენი პირველი არხის მიერ შემოთავაზებულმა ბრწყინვალე ტელეგადაცემამ ქართულ მუსიკალურ ფოლკლორზე გამაბედინა ხმის ამოღება, ვერ მიესადაგა რადგან იმ დახვეწილობას ასეთი სარეველამორეული ქართული და მიკიბულ-მოკიბული „პარადოქსები“.

• • •

„არ ვიცი ვინმეს გლოვობენ, არ ვიცი, არ იციანო“, — მღეროდა იმ საღამოს ჭკუახელი რამაზ ჩხიკვაძის ხმაში.

ალთა გალთიძე.

ერიჯაა!

ბაწრის თრევა გრძელდება

ბატონი არძინბა განათლებული კაცია, ისტორიკოსი. სადოქტორო დისერტაცია ხომ სწორედ თბილისში დაიცვა! ჰოდა, ამ კოზირს, ისტორიკოსი რომ ბრძანდება, ხშირად ახეთქებს ხოლმე მოლაპარაკებებისა და მრავალრიცხოვანი პრესკონფერენციების დროს მაგიდაზე. უხსნის დამსწრეთ, რომ საქართველოსთან მხოლოდ კონფედერაციულ საწყისებზე გაერთიანდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბერიასა და სტალინის დრო დაუბრუნდებაო აფხაზეთს! უფალ ისტორიკოსს, როგორც ჩანს, კარგად შეუსწავლია მხოლოდ სსრკ ისტორიის ერთი მონაკვეთი, უფრო შორს კი ვერა და ვერ გაუხედავს. მან „არ უწყის“, რომ აფხაზეთი უხსოვარი დროიდან იყო ორიერით — აფხაზებითა და ქართველებით დასახლებული, რომ აფხაზეთში ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვხვდება ქართული კულტურის უძველესი ძეგლები...

კიდევ ერთი კოზირი „ჩამოაგდო“. ე. წ. პრეზიდენტმა მოსკოვის ამასწინანდელ პრესკონფერენციაზე: აფხაზეთის დამოუკიდებლობას ითხოვსო მოსახლეობის 99.9 პროცენტი! აქ ერთ „პატარა“ წინასწარდაგეგმილ შეცდომას უშვებს ჩვენი ისტორიკოსი: ვის გულისხმობს აფხაზეთის მოსახლეობაში? იმ ადამიანებს (თუ მხეცებს) ხომ არა, რუსული თანამედროვე იარაღითა და „სპეცებით“ გალაღებულებმა გენოციდი რომ მოუწყვეს ძირძველ ქართულ მოსახლეობას, უთვალავი სიკვდილის შიშით გამოდევნეს ეზო-გარემოდან, თან მიაყოლეს არასასურველი აფხაზები, რუსები, ბერძნები და სხვა ერის მცხოვრებნი?

უფალი „ისტორიკოსი“ არც კი ფიქრობს, დაეკითხოს 300 ათას აფხაზეთიდან გამოყრილ მოქალაქეს, დღეს რომ მიმობნეულან საქართველოსა და ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკების ტერიტორიაზე: სურთ კი მათ იცხოვრონ ისეთ სახელმწიფოში, სადაც პრეზიდენტად იჯდება ასეთი ბეცი ისტორიკოსი?

მაგრამ არც ისეთი მარტივი კაცი გახლავთ არძინბა. ერთ პრესკონფერენციაზე თუ მოლაპარაკებაზე „აღმოაჩენს“, რომ კონფედერაცია მაინცდამაინც დიდად არ განსხვავდება ჩვეულებრივი ფედერაციისაგან, მეორე ხალხმრავალ შეხვედრაზე იტყვის, რომ აღიარებს საქართველოს ერთიანობას მხოლოდ... სიტყვით; მერე კიდევ გააკეთებს მიკროსკოპიული დათმობის ჟესტს და ბაწარს ათრევს მანამდე, ვიდრე არ დადგება მომენტი: რუსეთში არ ჩატარდება პრეზიდენტის არჩევნები.

სწორედ ამ არჩევნების შედეგებზე უჭირავს თვალი და ყური თვითმარქვია სახელმწიფოს ლიდერს. თუ გაუმართლა და რუსეთის სათავეში მოვიდა ის კაცი, მას რომ გულზე ეხატება, მაშინ, დარწმუნებული ვარ, იგი „იძულებული გახდება“ შეასრულოს იმ 99,9 პროცენტის დაჟინებული მოთხოვნა, რომ აფხაზეთი უნდა იქცეს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ეს თუ არა, რუსეთის ფედერაციის სუბიექტად მაინც.

ასეთ მოქმედებას ჩვენთან ეძახიან „ბაწრის თრევას“, რომელსაც, თუ დროზე არ მივაბამთ ხეზე, ვინ იცის, რამდენ ხანს ათრევს უფალი ისტორიკოსი..

ანზორ გასილაია.

გთავაზობთ
საწერ, საბეჭდ და
ქსეროქსის
ქაღალდს
უნაღდო ანგარიშსწორებით,
ადგილზე მიწოდებით.
☎ 38-91-64; 39-84-05

ოლდოს ჰაქსლი ქართულად

გამოვიდა ინგლისელი მწერლის ოლდოს ჰაქსლის (1894-1968) რომანის „ყვითელი ქრომის“ და მოთხრობების კრებულის „მობრიალე სანთლების“ პირველი ქართული თარგმანი. მწერლის ეს ორი წიგნი გაერთიანებულია „მობრიალე სანთლების“ სახელწოდებით. ინგლისურიდან თარგმნა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ნანა სუხიტაშვილმა.

პერიოდიკა

რელიგია
№ 10-11-12 1995

„რელიგიის“ ახალი ნომერი

გამოვიდა ჟურნალ „რელიგიის“ 1995 წლის № 10-11-12 გაერთიანებული ნომერი.

ჟურნალის მთავარ რედაქტორს, მის გამომცემლებს და მკითხველებს დაარსების მეოთხე წლისთავს ულოცავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, აგრეთვე გაზეთების „საქართველოს რესპუბლიკისა“ და „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციები.

„ღვთისმეტყველება“ — ამ რუბრიკით ჟურნალში დაბეჭდილია ზურაბ კიკნაძის „დაბადება“ (გაგრძელება) და ექვთიმე კოჭლამაზაშვილის „სამოციქულოს განმარტების ქართულ ენაზე თარგმანის ისტორიიდან“.

რუბრიკით „საქართველოს ეკლესიის ისტორია“ გამოქვეყნებულია ვახტანგ და ნინო. თიერაძეების სტატია „საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის სამისიონერო მოღვაწეობა XVIII-XIX საუკუნეებში“.

ფართო თემატიკით არის წარმოდგენილი ჟურნალში „ფილოსოფია და რელიგია“, კერძოდ, აქ დაბეჭდილია ხვთისო გოგოჭურის „შემოქმედების საზრისის პრობლემა ნ. ბერდიაევის რელიგიურ-ეგზისტენციალისტური მსოფლმხედველობის მიხედვით“, მერი ჭელიძის „ჰეგელი ქრისტიანობის შესახებ ადრინდელ თეოლოგიურ თხზულებებში“ და ვასილ გურგენიძის „ფუძემდებლური გამოკვლევა ონტოლოგიისა და ფილოსოფიური თეოლოგიის შესაყარზე“.

ჟურნალში დასტამბულია ლევან მენაბდის „ტიმოთე გაბაშვილი“, გულნარა კიკნაძის „სირიული სავანეზე ბალაანიდან (ქსნის ხეობა)“, შოთა ბარამიძის „აკაკის უკვდავება“, შოთა უტიაშვილის „მეფის რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საინგილოში და მისი შედეგები (1803-1930-იანი წლები)“ და გივი ახვლედიანის „ცხოვრების ხის სიმბოლური სახეები ქართულ ფოლკლორსა და ძველ მწერლობაში“.

მაია ფურცელაძე.

„წუთისოფელი“

გამომცემლობა „სამშობლომ“ დასტამბა ახალგაზრდა პროზაიკოსის **მერაბ მირუაშვილის** ნოველების წიგნი „წუთისოფელი“.

კრებულში გაეცნობით პერსონაჟების მრავალფეროვან და სათვალე გალერეას, სადაც ავტორმა თავისი სათქმელიც თქვა და სატკივარიც კი დაგვიტოვა. მერაბ მირუაშვილს რომ მახვილი თვალი აქვს და კარგად იცნობს წუთისოფელს, მკითხველი თავად მიხვდება, რა სიმართლეა და რა სახეებია დახატული ლაკონურად და მკაფიოდ ნამდვილი ოსტატის ხელით.

ერთი სიტყვით, საინტერესო მწერალთან საინტერესო შეხვედრა გელით.

კრებულის შეძენა შეგიძლიათ გამომცემლობა „სამშობლოს“ საფირმო მაღაზიაში (კოსტავას 14). „საუნჯეში“ რუსთაველის გამზირზე.

ია ჯაჭვაძე.



ჩოგანი

ფედერაციის თასი— „მართვეს“

დიდუბის მანეჟი ორ დღეს მასპინძლობდა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის თასის პირად-გუნდურ გათამაშებას.

როგორც ტურნირის მთავარმა მსაჯმა, ეროვნული კატეგორიის არბიტრმა ნუხა გაგოშიძემ გვაცნობა, სარბიელზე გამოვიდა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების „მართვესა“ (თავმჯდომარე დავით ბერძენიშვილი), და „შევარდენის“ (ბერდია გუგავა) 3-3 გუნდით 200-მდე მძლეოსანი. აღსანიშნავია, რომ თბილისელებთან ერთად იასპარეზეს საგარეჯოს, ზუგდიდის, ახალციხისა და სხვა რაიონების წარმომადგენლებმა.

საბოლოოდ გუნდური დავა „მართვე-I“-ის გამარჯვებით დასრულდა, პირად ჩათვლაში კი უძლიერესნი იყვნენ:

ქალები

60 მ. თარჯრბენი — ალიონა დუშკო („შევარდენი“), 10,4 წმ, 60 მ — თამარ შანიძე („შევარდენი“) 7,5 წმ, 200 მ. — აიდა ტოროსიანი („შევარდენი“) 25,8 წმ, 400 მ. — ირინე ძებისაშვილი („მართვე“) 59,7 წმ, 800 მ — ქეთევან აბრამიძე („მართვე“) 2.25,8 წმ, 1500 და 3000 მ — თეა მოდებაძე („მართვე“) 5.22,7 და 11.39,8 წმ, 200 მ. ამანათრბენი — („მართვე“) 1.52,0 წმ, სიგრძეზე ხტომა — მარგალიტა ლომაძე („შევარდენი“) 5 მ და 23 სმ, სიმაღლეზე ხტომა — ია დარახველიძე („შევარდენი“) 155 სმ, ბირთვის კვრა — მაკა ობოლაშვილი („მართვე“) 11 მ და 30 სმ.

ვაჟები

60 და 200 მ — დავით ნიკოლაიშვილი („მართვე“) 7,1 და 23,6 წმ, 400 მ — ლევან ნადარაია („შევარდენი“) 53,8 წმ, 800 მ — რამაზ ჩადუნელი („მართვე“) 2.06,5 წმ, 1500 და 3000 მ — ზიგმუნდ ზილბერშტეინი („შევარდენი“) 4.16,9 და 8.44,0 წმ, სიგრძეზე ხტომა — გიორგი კეტაშვილი („შევარდენი“) 6 მ და 39 სმ, სიმაღლეზე ხტომა — თემურ ბედუკაძე („მართვე“) 185 სმ, სამმაგი ხტომა — ედგარ გრიგორიანი („შევარდენი“) 14 მ და 59 სმ, ბირთვის კვრა — მიხეილ კალაძე („მართვე“) 13 მ და 42 სმ.

შავი იუმორის კუთხე

ფერთა გარჩევის საკითხისათვის

ტრავმატიზმი სხვადასხვაგვარია. არის ყოფითი, საწარმოო, სამხედრო, სპორტული, სატრანსპორტო. ამ უკანასკნელის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზს, მანქანის გაუმართაობის თუ სიმთვრალის გარდა, წარმოადგენს დალტონიზმი — ადამიანის უუნარობა გაარჩიოს ერთმანეთისაგან ფერები, ვთქვათ, წითელი და მწვანე, და, როგორც წესი, მისი მსხვერპლნი ხდებიან ფეხით მოსიარულენი, ან სატრანსპორტო საშუალებებში მსხდომი, მაგრამ არა, დამეთანხმებით, ბაღში მოხეირნე მოქალაქენი...

ამ რამდენიმე კვირის წინ ქაშვეთის ქვემოთ ბაღში შევიარე და ზამთრის ალერსიან მზეს მივეფიცხე. ეკლესიიდან გალობა ისმოდა, ხეებიდან — ჩიტების ჟღურტული, ახლო-მახლო მერხებზე შეყვარებულები ჩურჩულებდნენ. უნებლიედ ერთ წყვილს დავადგი თვალი: ორივეს შავი ქურქი ეცვა, ნაზად ეხუტებოდნენ ერთმანეთს, როგორც დიდი ხნის უნახავი დები.

— რაიონიდან ხარ, ბიძა? **ვარდისფერები** არ გინახავს? — დაცინვით მკითხა სამთვლიან ველოსიპედზე შემოსკუპებულმა ბიჭუნამ, ისე, რომ არც გამოუღია სიგარეტი პირიდან. ცოტა შემრცხვა, თავი იმით დავიმშვიდე, რომ ბავშვები **ვარდისფერი** სათვალით უყურებენ ყველაფერს.

ცარიელ აუზთან **შავქურთუკიანი** ახალგაზრდები შეკრებილიყვნენ და „ჰაილ-ჰაილის“ ძახილით მარჯვენას ზევით წევდნენ. — არ წაილეს ტვინი ამ **ყავისფერპერანგიანებმა**, **მიხაკისფერი** ჭირი ეცათ მაგათ! — ჩაიბურტყუნა მებაღემ, რომელიც ჩემს უკან გაზონს ბარავდა.

— უკაცრავად, ხომ ვერ მეტყოდით, ან ხომ ვერ მიჩვენებდით, სად არის აქ ტუალეტი? — ნაზი ხმით მკითხა **შავბერეტიანმა** და **შავპალტოიანმა** ახალგაზრდამ, რომელსაც უკან ორი ცოტა უცნაური ვაჟი მოჰყვებოდა. ნეკებგადაჭდობილები მოდიოდნენ, და თვალებში შესციცინებდნენ ერთმანეთს. ალბათ, დიდი ხნის უნახავი ძმები არიან-მეთქი, გავიფიქრე, და ის იყო, გზა უნდა მესწავლებინა, რომ იმ ორმა დამასწრო:

— წამო, ქიშო, ჩვენ გიჩვენებთ, ვერა ხედავ, ქაჯია!

— კაცი ბაღში ველარ შემოსულა, ეგ **ცისფერები** რომ არ აეკიდონ, — განაგრძობდა ჯუჯღუნს მებაღე. — არა, ეს ხალხი გამაგიჟებს, **შავი** და **ვარდისფერი**, **მწვანე** და **ცისფერი** ვერ გაურჩევიათ ერთმანეთისაგან, გავიფიქრე მე და გაზონში მოფუსფუსე **ყვითელქუდაჯიან** მოხუცს ვკითხე:

— ძიაკაცო, რა ფერისაა შენი ხალათი?

— **ბეჟი**, — მიპასუხა მოკლედ...

ჩემს პირდაპირ მჯდომი მოქალაქე, რომელიც გაზეთებს კითხულობდა, მოულოდნელად წამოვარდა: — ამ **ყვითელი** პრესის კითხვა შეუძლებელია!

არა, ამ ბაღში დიდიან-პატარიანა ყველა მე მამასხარავებს, ან თვითონ არიან ბრმები, ან მე ვგონივარ ბრმა!

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, რომ გვერდით ვიღაც გრძელთმიანი, პირგაუპარსავი კაცი მომიჯდა. ხელის მტევნები ლურჯად ჰქონდა მოსვირინგებული, **ცისფერი** სპორტული შარვალი და **ცისფერივე** ჟაკეტი ეცვა, რომელიც მარჯვენა მხარეს ეკვრებოდა.

— რამდენიმე მილიონი გექნება, — მითხრა ქალისქაკეტიანმა, — გუშინ გამოვედი და უკაპიკოდ ვარ. ჩემთან არ დაგეკარგება, **შავი** ჯიმო ხომ გაგიგია, მე ვარ!

ეს უკვე მეტისმეტი იყო. რაღა ხარისთვის აექნია წითელი ჩვარი და რაღა ჩემთვის ეთქვა ამ ცისფერშარვალხალათიანს, **შავი** ვარო. სიბრაზისაგან ვერც კი მოვისაზრე, რომ რამდენიმე მილიონ ლარს კი არა, კუპონს მთხოვდა (ეტყობა, ციხეში ვერ გაეგო ფულის რეფორმის ამბავი).

— **შავი**, აი ის არის, — მივანიშნე შაოსან ქიშოზე, რომელიც ტუალეტიდან უკვე გამოსულიყო და ახლა მეგობრების დახმარებით იკრავდა შარვალს. — შენ კი **ცისფერი** ხარ!..

ის, რაც ამის შემდეგ დამემართა, ალბათ სამედიცინო სახელმძღვანელოში შევა როგორც **კოლორისტული ტრავმატიზმის**, ანუ კოლორთან, ფერთან დაკავშირებული ტრავმატიზმის ტიპიური შემთხვევა.

• • •

გონს რომ მოვედი, თეთრხალათიანი, თეთრთმიანი ექთანი თავს მიხვევდა, გვედრზე ოთახიდან საუბარი ისმოდა.

— ეჰ, **წითლების** დროს რომ გვქონდა, იმის ნახევარი მომცა ახლა.

— იმ შენი **წითელი** ტერორის გამო იყო, ნახევარ ხალხს რომ **ყვითელ** სახლებში ამოაყოფინეს თავი...

ალბათ, აბსტრაქციონისტები არიან-მეთქი, გავიფიქრე და ფანჯარაში გავიხედე. წვიმაში თვალისმომჭრელი **შავ-თეთრი** ცისარტყელა გადაჭიმულიყო კაბადონზე.

არჩილ მანჯგალაძე.

ხსოვნა

ირაკლი სარაჯიშვილი

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პიროვნება, ჟურნალისტი და [illegible] ირაკლი ივანეს ძე სარაჯიშვილი.

ი. სარაჯიშვილი დაიბადა 1924 წელს. უმაღლესი განათლებით იურისტი, მოღვაწეობდა ჟურნალისტად საქართველოს ცენტრალური გაზეთების „ზარია ვოსტოკას“, „მოლოდოი სტალინეცის“ და „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქტორის მოადგილედ, განყოფილების გამგედ. წლების განმავლობაში იყო კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე.

1971-91 წლებში მუშაობდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს საერთო განყოფილების გამგედ, ხოლო 1991 წლიდან დღემდე — საქართველოს ყოფილი „სახმშენის“, ამჟამად საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს საქმეთა მმართველად.

ძირითადი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან ერთად იგი ეწეოდა მრავალმხრივ საზოგადო მოღვაწეობას. წლების განმავლობაში თავკაცობდა საქართველოს მოჭიდავეთა ფედერაციას და დამსახურებულად სარგებლობდა საქართველოს სპორტსმენების სიყვარულითა და პატივისცემით.

ი. სარაჯიშვილი ყველა სამუშაოზე, სადაც კი უნდა ყოფილიყო, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, ადამიანებისადმი ყურადღებიანი, გულისხმიერი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა, ამავე დროს, იყო მომთხოვნი და პრინციპული. ამ თვისებებმა შეხძინა მას მრავალი მეგობარი.

ირაკლი სარაჯიშვილის ხსოვნა დარჩება მათ გულებში, ვინც იცნობდა და აფასებდა მის ადამიანურ ღირსებებს.

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო.

ნესტორ იოზაძე

კიდევ ერთი გამორჩეული პიროვნება და სპეციალისტი გამოაკლდა ქართველ პოლიგრაფისტთა არცთუ მრავალრიცხოვან ოჯახს. მოულოდნელად გარდაიცვალა სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის“ დირექტორის მოადგილე ნესტორ (ლერი) სიმონის ძე იოზაძე.

სულ 49 წელი იცოცხლა ლერი იოზაძემ და აქედან ორი მესამედი ღირსეულად ემსახურა ქართულ ბეჭდვით სიტყვას. მოსკოვის პოლიგრაფიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა გამსახკომში, წიგნის ფაბრიკაში, № 4 და № 1 სტამბებში, გამომცემლობა „სამშობლოში“, კარტოგრაფიულ ფაბრიკაში ხელმძღვანელ სამუშაოებზე.

1983 წლიდან დღემდე მუშაობდა „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში“. მეგობრები და თანამშრომლები ლერი იოზაძეს ვიცნობდით, როგორც სამართლიან და უკომპრომისო თანამშრომელს, მოსიყვარულე მამასა და მეუღლეს.

თანამშრომლებისა და მეგობრების გულში სამუდამოდ დარჩება მისი ნათელი ხსოვნა.

სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის“ კოლექტივი.

ლევან სართანია

საქართველოს რკინიგზელთა რიგებს მოულოდნელად გამოაკლდა დარგის გამოცდილი სპეციალისტი ლევან სერგოს ძე სართანია, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი განუხორციელებელი ოცნება დარჩა ცხოვრებაში გასატარებელი.

ლ. სართანია დაიბადა 1952 წელს ქ. ბათუმში. 1979 წელს დაამთავრა ქ. როსტოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი ვაგონებისა და სავაგონო მეურნეობის სპეციალობით.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1970 წელს ქ. ბათუმის სავაგონო დეპოში. 1979 წლიდან იგი სამუშაოდ გადმოდის თბილისის სავაგონო დეპოში. თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე ლ. სართანიამ განვლო მეტად საინტერესო და შინაარსიანი შრომითი გზა, დაწყებული სავაგონო დეპოს ზეინკალ-შემკეთებლიდან, რკინიგზის ერთ-ერთი წამყვანი დარგის სამგზავრო გადაზიდვების სამსახურის უფროსის თანამდებობამდე. სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის სავაგონო დეპოს უფროსის მოადგილედ, თბილისის სავაგონო უბნის უფროსად, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სავაგონო სამსახურის უფროსის მოადგილედ, საქართველოს რკინიგზის სამგზავრო სამსახურის უფროსად. ყველგან, სადაც კი მას უმუშავნია, სარგებლობდა მაღალი ავტორიტეტით. იყო თავისი საქმის კარგი მცოდნე, პროფესიონალი. პირნათლად და კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას.

რკინიგზელთა მრავალათასიანმა კოლექტივმა ლ. სართანიას სახით უდროოდ დაკარგა პერსპექტიული სპეციალისტი, ოჯახმა კარგი შვილი, მზრუნველი მამა, ერთგული მეუღლე, ახლობლებმა, ნათესავებმა და მეგობრებმა კი მოსიყვარულე ადამიანი.

ლევან სერგოს ძე სართანიას ნათელი ხსოვნა, როგორც კარგი მეოჯახისა, მგრძნობიარე და გულისხმიერი მეგობრისა, ნიჭიერი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტისა და ორგანიზატორისა, სამშობლოსა და ოჯახის ერთგული კაცისა დიდხანს დარჩება ახლობლების, მეგობრებისა და მათ გულებში ვინც მას იცნობდა.

საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტი, საქართველოს რკინიგზის პროფკავშირის საგზაო კომიტეტი.

შვილები, გიორგი, ალიკა, ლევანი, მარგალიტა ბერაიები, შვილიშვილები, გიორგი, ინგა, ნინო, ქეთევან ბერაიები, გიორგი, ელენე ქუფარაშვილები, შვილთაშვილები ალექსანდრე, გიორგი ქსოვრელები, რძლები ალექსანდრა, ლარისა ბერაიები, გულიკო მაისურაძე-ბერაია, სიძეები ნოდარ ქუფარაშვილი, გიორგი ქსოვრელი, მაზლები აპოლონ, ტუსი, კუკური ბერაიები, მული კლავდია ბერაია ოჯახებით, მძახლები ელენე, შალვა მაისურაძეები, ტატიანა ლუტოვინოვა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვალერია (ლერა) ნიკოლოზის ასული ბერაია

პანაშვიდი 20, 21 II, 4 ს., გამოსვენება 22 II, 1 ს. კავას ქ. № 67 (II სადარბაზო).

ანზორ დევაძე, ედუარდ სურმაიძე, ვახტანგ აბაშიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან სართანია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ქ. თბილისის მერიის კულტურის სამმართველოს კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა სამმართველოს უფროსის ოთარ ბერძენიშვილის შვილი

აკაკი (კაკო) ოთარის ძე ბერძენიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ტელევიზია: ფილმები...

დღეს, 20 თებერვალს

„კავკასია“
12.00 — ქართული მხატვრული ფილმი „შეწყვეტილი სიმღერა“.

მეორე არხი
22.15 — ამერიკული მხატვრული ფილმი „უკვდავი მაიკი“.

„ოსტანკინო“
19.20 — „ტროპიკელი ქალის საიდუმლო“, 22.5[illegible] — მხატვრული ფილმი „ფარი და მახვილი“. ფილმი პირველი. 2.35 — ტელეფილმი „უცხო ზარი“.

„რუსეთის არხი“
19.55 — „პეტერბურგის საიდუმლოებანი“, 0.40 — ღამის სეანსი. მხატვრული ფილმი „რვაფეხა-6“ (იტალია).

მორიგე რედაქტორი არჩილ სანებლი

გამომცემელი — შპს „პრესა“ რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66404. ტელ.: 99-78-24. მთავარი რედაქტორი გურამ ბოგიაშვილი